ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№25 (1535) 15–17 მარტი, 1997 წელი

## ალექსანდრე ჭაჭია
## საით მიდის საქართველო?
### გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი

მეოთხე გვერდი

## უი თქვენს პატრონს, ბატონებო!..

მესამე გვერდი

## რუსმა მესაზღვრეებმა ცეცხლი გაუხსნეს

რუსეთის მესაზღვრეებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება თავისი ფუნქციების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. 12 მარტს რუსმა მესაზღვრეებმა აჭარის სანაპიროებთან აღმოაჩინეს თურქეთის თევზსაჭერი სეინერები. თურქი მესაზღვრეები არ დაემორჩილნენ ბრძანებას საქართველოს ტერიტორიალური წყლების დატოვების შესახებ და გამაფრთხილებელ გასროლაზე პირდაპირი შეჯახების მანევრიც განახორციელეს. ამ შემთხვევაში რუსმა მესაზღვრეებმა პირდაპირი ცეცხლი გაუხსნეს თურქეთის გემებს, რის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა, ხოლო დაზიანებული სეინერი ბათუმის პორტში შეიყვანეს. საქართველოს სასაზღვრო ძალების სარდალმა ვალერი ჩხეიძემ პროტესტის ნიშნად განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მესაზღვრეების სტატუსის და მათი უფლებამოსილებების შესახებ 1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმების დარღვევის შემთხვევა პირველი არაა რუსი მესაზღვრეების მიერ. (BGI)

## ინციდენტს შეიძლება საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს

პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ცნობით, დღეს ე.შევარდნაძემ მიიღო თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ ოქიაიუზი. საუბარი შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თურქ მეთევზეებსა და რუს მესაზღვრეთა შორის მომხდარ ინციდენტს. ელჩმა პრეზიდენტს აცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს საელჩოს თურქეთში დაუყოვნებლივ გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ითხოვს მესაზღვრეთა მიერ დაკავებული და ბათუმში გადაყვანილი შხუნისა და მისი ეკიპაჟის თურქეთში დაბრუნებას. ნოტაში ასევე ნათქვამია, რომ თურქეთის მხარე იტოვებს უფლებას, მოითხოვოს თურქი მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება.

შეხვედრაზე ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნებისმიერ მოლაპარაკებას ამ საკითხზე თურქეთის მხარე აწარმოებს მხოლოდ ოფიციალურ თბილისთან და კატეგორიულად მიუღებლად მიაჩნია ამ ურთიერთობაში მესამე მხარის მონაწილეობა. „ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან მიღწეულ შეთანხმებებს და მათ რეალიზაციას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საქართველოს საშინაო საქმეებია. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, მასთან დაკავშირებით თურქეთი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას ცნობს“, — განაცხადა თ.ოქიაიუზმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ღრმა შეშფოთება და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და განაცხადა, რომ რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტს ფაქტის შესახებ მხოლოდ მაშინ შეატყობინეს, როდესაც იგი უკვე მომხდარი იყო. „სამწუხაროდ, რუსეთის მესაზღვრეებთან ძალზედ სერიოზული პრობლემები გვაქვს. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც ისინი ჩვენთან შეთანხმების გარეშე მოქმედებენ“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (იფრინდა)

## გაქურდეს ცნობილი ადვოკატი

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, გუშინ თბილისის აეროპორტში, დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს ცნობილი ადვოკატი, საქართველოს სოციალისტური პარტიის ლიდერის ვ.რჩეულიშვილის მამა — შალვა რჩეულიშვილი. წინასწარი მონაცემებით, თაღლითებმა ცნობილ ადვოკატს 650000$ წაართვეს.

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით, სააგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსს დ.მიქაძეს, რომელმაც დაადასტურა მომხდარი ფაქტი და განაცხადა, რომ შსს უკვე ჩართულია ამ საქმის ძიებაში, თუმცალა მან საქმესთან დაკავშირებული დეტალების მოწოდებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა. (იფრინდა)

## აფხაზეთის კომისარიატებმა საგაზაფხულო გაწვევა დაიწყეს

როგორც სააგენტო „იფრინდას“ კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, 3 დღეა, გალის რაიონის ქვედა ზონაში, აფხაზეთის კომისარიატებმა დაიწყეს საგაზაფხულო გაწვევა. ვინაიდან, ახალგაზრდებს არ სურთ აფხაზურ ჯარში მსახური, კომისარიატებს აქტიურად ეხმარებიან რუსეთის სამშვიდობო ძალები. დამალვის გამო კი, მძევლად აჰყავთ წვევამდელთა მშობლები და ახლობლები ან ითხოვენ 1 მლნ. რუსულ რუბლს. წინააღმდეგობის გაწევისათვის უკვე დააკავეს 48 წვევამდელი.

## კრიმინალური სამყაროს მიმართვა
### საქართველოს რადიოს, ტელევიზიას, პრესას და მთავრობას

ამ ბოლო დროს ძალზე გახშირდა საქართველოს კრიმინალური სამყაროს კრიტიკა და ლანძღვა-გინება. სხვათა შორის, არც მუქარას გვამადლიან.

გვინდა ყველას გასაგონად განვაცხადოთ, რომ ჩვენ არც ისე ცუდი ადამიანები ვართ, როგორც ეს ერთის შეხედვით ჩანს, ან პრესასა და ტელევიზიაში ჩვენს დახატვას ცდილობენ. ამიტომაც ხმამაღლა გვინდა ვთქვათ, რომ ნამდვილად არ ვიმსახურებთ საზოგადოებრივ გაკიცხვას, უდიერად მოქცევას და, მით უმეტეს, დაპატიმრებას.

დღეს, როცა მოშლილია ეკონომიკა და ადამიანების უმრავლესობა შიმშილობს, დღეს, როცა თვით ჩვენი კულტურის სახელოვანი წარმომადგენლები და ასევე სახელოვანი მეცნიერები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან, ყველამ ხელი უნდა გამოვიღოთ, რომ გასაჭირში ჩავარდნილ საზოგადოებას რაღაც შევეწიოთ.

პირადად, ჩვენ, კრიმინალურმა სამყარომ, ჩვენს თავზე ავიღეთ ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების დახმარება-შენახვა. იქნებ დაინტერესდნენ პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები, როგორ ვართმევთ თავს ჩვენს მიერ აღებულ ვალდებულებას? აბა დაიარეთ სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლების სახლები. შეამოწმეთ როგორ და რანაირად გარემონტებულ ბინებში ცხოვრობენ ისინი. ავეჯზე და სიმდიდრეზე აღარაფერს მოგახსენებთ. დაინტერესდით რა უცხოური მარკის მანქანებით დაქრიან მათი შვილები, უცხოეთის რომელ კურორტებზე ისვენებენ მათი ოჯახის წევრები, დედაქალაქის რომელ პრესტიჟულ სასადილოებში სადილობენ და ვახშმობენ მეგობრებთან ერთად.

მაშინ ხომ მაინც დარწმუნდებით, რომ ის სფეროები, რომელსაც ჩვენ ვმფარველობთ და ვპატრონობთ, ათჯერ და ასჯერ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშაა.

თან ისიც იანგარიშეთ, რამდენი არიან ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

ასე რომ, ჩვენი დამსახურება ქვეყნის წინაშე ძალიან დიდია და გთხოვთ, ჩვენს ლანძღვა-გინებას თავი დაანებოთ!

კრიმინალური
საზოგადოების პრესცენტრი

# პასუხგაუცემელი კითხვები, ანუ როცა სილაჩრე ცხადდება გონიერებად

19 მწარე შეკითხვა საქართველოს თავდაცვის მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს

აქვს თუ არა ქართულ ჯარს შესაძლებლობა, თუკი პოლიტიკოსები გადაწყვეტენ, აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა?

## თენგიზ სიგუა: ეს ყველაფერი უნიათობის შედეგია



მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ჯარი, თუ ამას გადაწყვეტენ პოლიტიკოსები, შესძლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ არ იქნება რუსეთის დაუფარავი სამხედრო დახმარება სეპარატისტული რეჟიმებისადმი.

დღეს ჩვენს არმიაში, სასაზღვრო ჯარების ჩათვლით, სახელმწიფო უშიშროების სამსახურში იმ რაოდენობის მეომარია, რომ იდეოლოგიის სწორი წარმართვის პირობებში, საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ჩვენ დღესდღეობით არ მიგვიღია ყოფილი საბჭოთა არმიის შეიარაღებიდან ის წილი, რაც კანონიერად გვეკუთვნის. მინისტრ ვ.ნადიბაიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეს საქართველოს არა აქვს იმის ეკონომიკური შესაძლებლობა, რომ შევიძინოთ ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. ჩვენ ეს ტექნიკა უფასოდ გვეკუთვნის. მაგალითად, გვეკუთვნის 100 საბრძოლო თვითმფრინავი და არ მიგვიღია პრაქტიკულად არც ერთი; გვეკუთვნის 50 საბრძოლო ვერტმფრენი და არ მიგვიღია მისი მეათედიც. კუთვნილი 285 საარტილერიო დანადგარიდან არ მიგვიღია მისი ნახევარიც. აღარაფერს ვამბობ სამხედრო გემებზე - არც ერთი გემი შავი ზღვის ფლოტის გაყოფისას ჩვენთვის არ გადმოუციათ. ეს ყველაფერი ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უნიათობის შედეგია.

### მოსალოდნელია პურის გაძვირება

როგორც საგენტოს კორესპონდენტს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პრეს-ცენტრში აცნობეს, მზა პროდუქციაზე (მომსახურებაზე) დღგ-ს ერთიანი პოლიტიკის მიღების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის ბიუჯეტის განხილვისას მიიღო გადაწყვეტილება ფქვილსა და პურზე დღგ-ს 20%-იანი ნორმის დაწესების შესახებ (ნაცვლად 10%-ისა). ინფორმაციაში განმარტებულია, რომ გაანგარიშების დროს, ფქვილში ხორბლის ღირებულების ჩათვლა გამოიწვევს 1 ტ. ხორბლის საშუალო ღირებულების 80-90 ლარით გაზრდას. ამ თანხაში, 65-75 ლარი ხორბლის ღირებულებაზე გათვლილი დღგ-ს 20%-ია, ხოლო 15 ლარი - ფქვილის დანახარჯებზე დარიცხული დღგ-ს 20% (10%-ის დარიცხვისას დღგ 8-10 ლარს შეადგენდა, 20%-ზე იგი 22-25 ლარია).

ანალოგიურად გაიზრდება პურის საშუალო ღირებულებაც. ხორბლის ღირებულებაზე დარიცხული დღგ (65-75 ლარი) პირდაპირ დაემატება 1 ტ. პურის ღირებულებას, ხოლო მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებზე 20%-იანი დანარიცხი 1 ტ. პურის ღირებულებას დაახლოებით 40-50 ლარით გაზრდის.

გამომდინარე აქედან, 1 კგ პურის საშუალო (ქარხნიდან გასაცემი) ღირებულება 10-12 თეთრით გაიზრდება და ნაცვლად 55-56 თეთრისა, 65-67 თეთრი გახდება. დღგ-ს 20%-ით დარიცხვა ასევე მოხდება სავაჭრო დანამატებზეც, რაც შესაბამისად, პურის საცალო ფასებზე იმოქმედებს. (იფრინდა)

## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

### შიმშილობის მე-12 დღე, 13 მარტი, ხუთშაბათი

მოშიმშილეები თავს ნორმალურად გრძნობენ. თამაზ ნადარეიშვილმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ რადგან რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ოთხი წლის განმავლობაში თავისი მისია ვერ ალასრულეს, ამიტომ მათ სასწრაფოდ უნდა დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია.

პარლამენტის წევრი თორნიკე ფიფია, როგორც მოშიმშილეთა აქციის წარგზავნილი, გუშინ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, დღეს კი საგარეო საქმეთა მინისტრს და საქართველოს პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლებს. 5 საათიანი საუბარი თითქმის უშედეგოდ დამთავრდა. პრეზიდენტი ფრთხილობს, ამისგან გამომდინარე ორმაგად ფრთხილობს პარლამენტი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი სამმაგად. შეხვედრაზე საუბარი მეტწილად მიმდინარეობდა მოსკოვის სამიტზე, რომელიც შეიძლება არც შედგეს რუსეთში შექმნილი მდგომარეობის გამო.

თორნიკე ფიფიას რამდენიმე კითხვით მივმართე:

*- თქვენ თითქმის ყოველდღე ხვდებით პარლამენტის ფრაქციების წარმომადგენლობას და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს, რა შედეგი გამოიღო ამ შეხვედრებმა?*

- როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე გაფრინდა ამერიკაში, ჩვენ ამ შეხვედრების გაგრძელება დავასაბუთეთ იმით, რომ მის ჩამოსვლამდე ფრაქციებს და ძალოვან სტრუქტურებს ჩამოეყალიბებინათ და დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია ჩვენი აქციის მოთხოვნების შესახებ. ჩატარებულიყო მუშაობა, რათა პარლამენტის სამშაბათის სხდომაზე უკვე ყველა ჩამოყალიბებული ყოფილიყო. დღეს შევხვდი ირაკლი მენაღარიშვილს და ვკითხე შიმშილობის აქცია დააჩქარებს თუ არა იმ მოვლენებს აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც აქამდე ასე დუნედ მიმდინარეობს. მან არაფერი მიპასუხა. რაც გავარკვიე, მან თქვა, რომ აფხაზეთის საკითხის დაჩქარება პირდაპირ უკავშირდება რუსეთში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. რაც მათ აღმასრულებელი ხელისუფლება მყავს მხედველობაში) წამოსცდა პირველად, ირაკლი მენაღარაშვილმა თქვა, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში იქ ომი არ დაიწყება. ეს საკმაოდ დამაიმედებელი განცხადებაა, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრი პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე ოფიციალურად ამას არ იტყოდა. ეს პასუხია ყველა იმ პროვოკატორისათვის, რომლებსაც ერთი ამბავი აქვთ ატეხილი, რომ თუ იქედან რუსეთის ჯარები გავიდნენ, ომი დაიწყებაო.

*- მალე გადაწყდება ეს საკითხი?*

- ვერანაირ ქმედებას ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ჯერ ვერ ვხედავ. ეს იწილო-ბიწილო დიდხანს გაგრძელდება. ხვალ საღამოს შედგება ინტერფრაქციული შეხვედრა, სადაც იქნებიან ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. ამ შეხვედრის შემდეგ ვფიქრობ, რომ ჩემი იქ ყოფნა უკვე აღარაა საჭირო. უაზრობად მიმაჩნია მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ფრაქციებს თავიანთი პოზიცია დაეფიქსირებინათ, რათა უკვე პარლამენტის სხდომაზე მომზადებული ყოფილიყვნენ. მაგრამ ეს არ გაკეთდა. არ სჭირდებოდა ამ საკითხს ტელევიზიის ეკრანი და მიკროფონთან დგომა. მე მათ ეს უთხარი და გაღიზიანდნენ. არა და ამ აქციის რეჟიმი, ეს შიმშილობა არ გვაძლევს საშუალებას დიდხანს გაგრძელდეს დებატები. საკუთარი თავის დაფიქსირების სურვილი არ უნდა იყოს. ყველანი მაინც ელოდებიან პირველი პირისაგან ინიციატივას და არავის არ უნდა თავისთავზე პასუხისმგებლობის აღება. ვნახოთ, ჩამოვა ზურაბ ჟვანია.

*- სამშაბათს აფხაზეთის პრობლემაზე იქნება პარლამენტში საუბარი?*

- რა თქმა უნდა, მე არ ვიცი ზუსტად რა იქნება. შეიძლება ისევ განვიხილოთ კანონ-პროექტი ტურიზმის და მთამსვლელების შესახებ, მაგრამ დღეს პარლამენტს რომ მორალური უფლება არა აქვს სხვა საკითხით დაიწყოს მუშაობა, ეს კარგად ვიცი. ინიციატივას კი ვერავისგან ვერ ვხედავ, რომ ამის გაკეთება სურდეთ.

- გმადლობთ.

### შიმშილობის მე-13 დღე, 14 მარტი, პარასკევი

პარლამენტის მოშიმშილე ფრაქცია „აფხაზეთი" თავს ნორმალურად გრძნობს. ისინი ძალიან აღაშფოთა ფაქტმა, რომ ლტოლვილებში ვიღაც უცნობი პირები 5-5 ლარს აგროვებენ, ვითომ მოშიმშილეთა აქციის დასახმარებლად.

მოშიმშილე დეპუტატებთან სოლიდარობის გამოსაცხადებლად მოვიდნენ სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი და მისი მოადგილე ზაზა შენგელია. შედგა მეგობრული საუბარი. საკითხები ძირითადად შეეხო მოსკოვის სამიტს და საქართველოს ეკონომიკას. ნიკო ლეკიშვილმა თქვა, რომ მოშიმშილეთა მოთხოვნის შესრულება დღეს არარეალურია, საქართველომ დღეს შეიძლება მიაღწიოს მაქსიმუმის მინიმუმს - სამშვიდობო ძალები გადაიყვანოს მდინარე ღალიძგაზე.

მოშიმშილეებთან სტუმრად და თანადგომის გამოსაცხადებლად იყო ქართველ მწერალთა ჯგუფი, თამაზ ჭილაძის მეთაურობით

მანანა იაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვანიამ კატეგორიულად მოითხოვა

ბრძელდება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გუშინ ზურაბ ჟვანია შეხვდა რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს გაეროში სერგეი ლავროვს. ჟვანიამ კატეგორიულად მოითხოვა რუსეთისაგან თავისი პოზიციის ცალსახად განსაზღვრა და საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნისათვის მხარდაჭერა, რომელმაც უნდა გაასამართლოს სეპარატისტული კრიმინალური დაჯგუფებები. სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველოს უნდობლობა აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ ბუნებრივი და სავსებით გამართლებულია. საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაცია.

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს. შეხვედრა განსაკუთრებული ურთიერთგაგებით გამოირჩეოდა. კოფი ანანი დაეთანხმა იმ აზრს, რომ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მოქმედებამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და საჭიროა მათი მანდატის შეცვლის საკითხის განხილვა. საქართველოს პარლამენტის პრეს-სამსახურის ინფორმაციაში ნათქვამია, რომ გაეროს გენერალური მდივნის ასეთი პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაეროსა და ეუთო-ის თანამშრომლობის გაფართოებაზე მეტყველებს. (BGI)

# საქართველო საგარეო პოლიტიკაში ახალ ვექტორს მოძებნის

თუ რუსეთი საქართველოს მიმართ არ შეცვლის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას, საქართველო თავის საგარეო პოლიტიკაში ახალ ვექტორს მოძებნის. ამით რუსეთი დაკარგავს საყრდენს კავკასიაში – ასეთი განცხადება გააკეთა საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეს“ დელეგაციამ რუსეთის სახელმწიფო დუმაში გამართულ შეხვედრაზე. ოფიციალური წყაროების ცნობით, რუსეთის აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოს პრეტენზიები წარედგინა. განიხილეს კონფლიქტების დარეგულირების, კონფლიქტის ზონებში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სტრატეგიული პარტნიორობის საკითხები.

სამწუხაროდ, მხოლოდ ბოლო დროს გავააქტიურეთ საპარლამენტთაშორისო ურთიერთობები. ეს დაგვეხმარება პრობლემის მკვდარი წერტილიდან დაძვრაში – განაცხადა რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრე შოხინმა. (BGI)

# უი თქვენს პატრონს, ბატონებო!..

## სატელეფონო საუბრებზე ფასდადების გამო

ანეკდოტი: იმერელი – კახელს: „შე ჩემაო, რო ეუბნები, არ გეუხერხულება – „შე ჩემა“?! კახელი: კაი ჰო, „თქვე ჩემა „ხო გამოდგება“!

ცალ-ცალკე ჩვენს სათაურში ყველა სიტყვა ნორმალურად ჟღერს, „თქვენობითი“ ფორმაც დაცულია, მაგრამ, შინაარსობრივად ჩანს, რომ ვიღაცა ვიღაც ბატონებს ემუქრება!..

ბარემ აქვე: „ბატონებში შპს „საქელექტროკავშირის მარკეტინგის დირექტორატს ვგულისხმობთ.

საქმე ისაა, რომ ეს წინადადება – *„უი თქვენს პატრონს, ბატონებო!“* უფრო დელიკატურად ჟღერს იმასთან შედარებით, რასაც მისი აბრევიატურული მეთოდით წაკითხვის შედეგად მივიღებთ! მოგეხსენებათ, „აბრევიატურა“ ნიშნავს ორი ან რამდენიმე სიტყვის შეერთებას წერის დროს. სამაგალითოდ, ავიღოთ აბრევიატურა *„შინსახკომი“*. თავის დროზე იგი ნიშნავდა – „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს“.

ახლა იმაზე, თუ რამ აგვაღებინა ხელში კალამი: 1997 წლის 16 მარტიდან თითოეულ აბონენტს უფლება ექნება საკუთარი ტელეფონით მხოლოდ ათ წუთს ისარგებლოს!.. ზედმეტ ყოველ ერთ წუთში დაერიცხება ერთი თეთრი!..

დღეღამეში რომ ათი წუთი მიზერული ნორმაა, ამას, ალბათ, თვითონაც კარგად გრძნობენ (ერთხანობას, ისიც კი გვეგონა, საპირველაპრილო ხუმრობაა და ორი კვირით ადრე იმიტომ გამოაცხადეს, ხუმრობას რომ იოლად ვერ მივმხვდარიყავით!), მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და, შპს *„საქართველოს ელექტროკავშირის მარკეტინგი“* (დირექტორი *ბ-ნი ილია კუბეცია*) „ტარიფების გაზრდის მიზეზად ბიუჯეტში შემოსავლიანობის მიზერულ მაჩვენებლს ასახელებს!“ („ალია“, 11-12 მარტი, გვ. 11).

ჯერ ერთი, აგერაა კიდევ აბრევიატურის საუკეთესო ნიმუში – *„შპს“*, რომელიც, როგორც ცნობილია, ასე იშიფრება: *„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“*! ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ მაინცდამაინც „შეზღუდული“? პირიქით, ამ შემთხვევაში, იგი სწორედ „შეუზღუდავი პასუხისმგებლობის საზოგადოებად“ უფრო გვევლინება!..

მაშ, ასე – ბიუჯეტს უჭირს!.. ჰო, მაგრამ აგერ არაა ხალხი!.. ხალხს ხომ ნამეტნავად ულხინს!.. იხადოს ყოველ ერთ წუთში ერთი თეთრი, რა მოხდება!. მე შენ გეტყვი და, საშუალო შემოსავალი არა აქვს სოლიდური – მთელი 1200 თეთრი ყოველთვიურად!.. დაჯდეს და ესაუბროს – ვისაც უნდა!..

ისე, კაი გაწაფული დიასახლისი, როგორც კი მიიღებს ამ თორმეტ ლარს, თადარიგს დაიჭერს: ჯერ სახლმმართველობაში წავა და ბინის ქირას გადაიხდის, მერე – ელექტროენერგიის დანახარჯს, ამოიღლიავებს ორ დიდ, ჩინურ ჩანთას, გავარდება ბაზარში, მოიმარაგებს: ხორცს, კარტოფილს, ყველს, მარგარინს (არაფერი არ უჭირს, კარაქის მაგივრად!), ბოსტნეულს, ხილეულს, შავსა და წითელ ხიზ.. (უკაცრავად!) წიწაკას, კვერცხს, მცენარეულ ზეთს, ჭარხალს, კომბოსტოს, (რაც შეეხება შავსა და წითელ ხიზილალას, თართს, ზუთხსა და ხრამულს, თუნდაც სათალს, ერთი ორმოცი წლით თავი შეიკავოს!), შეიძენს საპონს, სარეცხ ფხვნილს, კბილის პასტას.. ჰო, მართლა, თუ სულ ამოწყვეტილი არაა, ბავშვებს უყიდის პასტას, რვეულებს, სახაზავებს, პლასტელინს, საშლელ (და არა – სალეჭ!) რეზინას, ბოლოს, იმ დღისათვის პურს და პურის ფასად – გაზეთს (იქნებ გაზეთით მაინც გაიგოს – ნათესაობაში ხომ არავინ გამოაკლდა, რადგან დეპეშა, ყველამ იცის, არ იგზავნება, ხოლო მასში გადახდილი ფული, ასე ვთქვათ, დიახ, დიახ!..) და, მხოლოდ, ამის შემდეგ შეივლის „ატეესის“ რაიონულ განყოფილებაში, სადაც დაახლოებით, 10000 კაცი მაინც დახვდება რიგში, და გადაიხდის მთელი თვით ნალაპარაკევს – მინიმუმ 15 ლარს მაინც...

რაო, იმ თორმეტი ლარიდან ამდენი საიდან დახატოსო? არდახატავს და მისი აჯობებს! გამოუთიშავენ ტელეფონს, მოუხსნიან საერთოდ!.. ახლა, ავად რომ გახდეს, ექიმის მისაცემი ფული რომ არ ექნება, რა ქნას, როგორ დაურეკოს საკონსულტაციოდ სამედიცინო ფირმა *„კურაციოს“* 901-ზე, სამადლოდ, უფასოდ რომ ემსახურება პაციენტებს?! ან მეზობელს როგორღა დაარეკინოს?

კუბეცია.. კუბეცია.. ჯერ იმის მკითხავი მაქცია – ეს კუბეცია ვინაა ეროვნებით!.. მეორეც – გინდაც მიჩივლოს, მაინც ერთი სული მაქვს, მივურითმო: კუბეცია სულ ბეცია? ფიქრობს, ყველა კუპეცია?!

კუბეციას თვითონ ჰყოფნის ჯამაგირი თუ პენსია?!

ახლა კი იმის თაობაზე, თუ რატომ მივმართეთ აბრევიატურას. მერწმუნეთ, თუ ეს რეფორმა მართლაც გატარდა, დროის ეკონომიის მიზნით, სწორედ შემოკლებული სიტყვებით მოგვიწევს საუბარი!..

დღევანდელი ჩვენი ფელეტონის სათაური კი ასე იშიფრება: *„უი თქვენს პატრონს, ბატონებო!“* იგივეა, რაც: *„უნდა იწვოდეს თქვენისთანა ქვებუდანი, ველური, ნამუსგარეცხილნი სირცხვილით, პირშავებო!.. აძვირებთ ტელეფონს, რომ ორმა ნამუსიანმა ბარემ აღარც ტელეფონით იოცნებოს ნორმალურ ეროვნულ ბიუჯეტზე, ოინბაზებო!“*..

გიზო ზარნაძე



# აკაკი ასათიანი: რამდენი ხანი უნდა ვიჯდეთ ჭოჭინაში?

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა პარასკევს ჟურნალისტებისათვის გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც იქნა გამოხატული დამოკიდებულება ფრაქცია „აფხაზეთის“ შიმშილობის გამო.

პრესკონფერენციაზე ითქვა: დღესდღეობით მართალია ვაღიარებთ იმას, რომ სურვილი გვაქვს დასავლური სააზროვნო პოლიტიკური სივრცე გვქონდეს, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დასავლეთს თავისი საერთაშორისო ნორმები და კანონები აქვს, რომელთა დარღვევაც ცუდად წარმოაჩენს ჩვენს სახეს. თუ ქართულმა დიპლომატიამ წააგო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გვერდზე გადავდგათ დიპლომატიური ნაბიჯები და გადავიდეთ ველურ ფორმებზე.

ტრადიციონალისტთა კავშირმა განაცხადა იმის შესახებ, რომ ქმედითი მხარდაჭერა სჭირდება ფრაქცია „აფხაზეთს“. ამის გამო კავშირი აგროვებს ხელმოწერებს. 2000 ხელმოწერის შემდეგ საკითხის რეფერენდუმზე გასვლა შესაძლებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის I-ი პუნქტის თანახმად. მოთხოვნები შეეხება შემდეგ საკითხებს:

1. არ გაუგრძელდეს უფლებამოსილებანი საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალებს.

2. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს რუსეთის სამშვიდობო ძალების დროული გაყვანა და პარალელურად გააქტიუროს მოქმედება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე სამშვიდობო პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის.

პარტიის თავმჯდომარემ კაკო ასათიანმა აღნიშნა, რომ „ხელისუფლება არ არის მზად გამოხატოს თავისი პოზიცია აქციის მიმართ. დღევანდელი პარლამენტი ვერ ასრულებს თავის ფუნქციებს და ცოტა არ იყოს აბსურდული სიტუაციაა: – მე გეუბნები მიშველე, შენ მეუბნები შენსკენ ვარ, რეალური ქმედება კი არანაირი არ ჩანს ხელისუფლების მხრიდან. რუსეთი გავა, ამიტომაა ძიძგილაობა, ჩვენ კიდევ ბავშვივით ვართ, როგორც იქნა სახელმწიფომ ფეხი აიდგა, მაგრამ რამდენი ხანი უნდა ვიჯდეთ ჭოჭინაში?...“.

ტრადიციონალისტთა კავშირმა მოუწოდა ხელისუფლებას, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს მხარი დაუჭირონ მას და იზრუნონ იმისათვის, რომ არ მოხდეს სიტუაციის დაძაბვა და გადაიდგას ნაბიჯი სამშვიდობო პროცესის რეალურად წარმართვისათვის.

ხათუნა აბაზაძე

# ქუქლი დისიდენტები ისევ ერთად არიან

11 მარტს თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი რუსეთის დუმის წევრი, ცნობილი სამართალდამცავი სერგეი კოვალიოვი შეხვდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრს და ამავე ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლებს. შეხვედრის დროს, რომელმაც 3 საათზე მეტ ხანს გასტანა, განხილული იქნა საქართველოს და რუსეთში მიმდინარე პროცესები, პოლიტპატიმრების, პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების, პრესის და ტელევიზიის თავისუფლების საკითხები. დიდი ადგილი დაეთმო აგრეთვე აფხაზეთის პრობლემის განხილვას. გამოითქვა მომავალში კონტაქტების სურვილი.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პრეს-ცენტრი

# „დესტაბილიზაცია არ უნდა დავუშვათ“

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ი.წერეთელმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო საქართველოს დეოკუპაციის კომიტეტის და საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერპარტიული შეკრების მიმართვის ტექსტები. დეოკუპაციის კომიტეტი სოლიდარობას უცხადებს საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს შიმშილობის აქციას და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს – მთელი პრინციპულობით მოსთხოვონ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, მოშიმშილეთა სამართლიანი მოთხოვნების შესრულება. დეოკუპაციის კომიტეტი მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები და ზომები. კერძოდ, უმოკლეს ვადაში მოიწვიონ პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელიც მიიღებს დადგენილებას, უპირობოდ და დაუყოვნებლივ, ოკუპირებული ტერიტორიების გამოცხადებისა და ამ ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ფორმირებების ყველა სახეობის სრული შემადგენლობით გაყვანის შესახებ. აგრეთვე პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების – აღნიშნული ჯარების გაყვანის შესახებ საფუძველზე, პრეზიდენტმა გამოსცეს სპეციალური ბრძანებულება, სადაც კონკრეტულად მიუთითებს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ფორმირებების უკანასკნელ ჯარისკაცამდე გასვლის საბოლოო ვადას.

ინტერპარტიული შეკრების სახელით, პარლამენტისადმი გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამია, რომ პარლამენტმა უახლოეს დღეებში, მიიღოს სახალხო ფრაქცია (ეროვნულ-დემოკრატის) მიერ წამოყენებული კანონპროექტი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. „მთელი კატეგორიულობით მოვითხოვთ, საქართველოს ხელისუფლებამ – საქართველოს დეოკუპაციის პოლიტიკა წარმართოს მშვიდობიანი ძალისხმევით. თავიდან უნდა ავიცილოთ ომი და დესტაბილიზაცია“ – განაცხადა ი.წერეთელმა. მისივე თქმით, საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად, საქართველოში უნდა შემოვიდნენ ნატო-ს ჯარები, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნება. (იფრინდა)

### საქართველოში ადამიანის უფლების დარღვევის საშინელი ფაქტებია

ბუშინ, ცნობილი სამართალდამცავის ს.კოვალიოვის თანაშემწემ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრმა ლენა ლებედევამ პრეს-კონფერენცია გამართა. როგორც ლ.ლებედევამ განაცხადა, საქართველოში ვიზიტის დროს, მან მოინახულა ქსნის, რუსთავის, აჯჯალისა და ორთაჭალის ციხეები, სადაც შეხვდა რამოდენიმე პოლიტპატიმარს. მას ასევე ჰქონდა შეხვედრები დევნილებთან. მისი თქმით, საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის საშინელი ფაქტებია.

სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რატომ არ მოინახულა მან დასავლეთ საქართველო, ლ.ლებედევამ განაცხადა, „მე მითხრეს, რომ, თბილისის გარშემო საშინელი მდგომარეობაა, ხოლო დასავლეთ საქართველოში ხალხმა რუსულიც კი არ იცის და რასთან დაკავშირებით უნდა ესაუბრო". მისივე თქმით, საქართველოში 99% ადამიანის უფლებათა დარღვევა შეიარაღებული გადატრიალების შედეგად მოსულმა პირებმა მოახდინეს. (იფრინდა)

### «სიარული აკრძალვის გზით და არა შეთავაზებით»

ბანაცხადეს საქართველოს მეწარმეთა კავშირის წარმომადგენლებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. ისაუბრეს რა ყველა მეწარმის პრობლემებზე, შეიქმნა სურათი, რომ დღეისათვის ქვეყანაში დაგროვდა მთელი როგი პრობლემებისა, რომელიც ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას. დღეს ქართველ მეწარმეს არ გააჩნია გასაღების ბაზარი, ნედლეულის წყარო, ტექნოლოგია და საკანონმდებლო ბაზა. ხელისუფლების მიერ დაწესებულმა ლიცენზირების წესებმა შეაფერხა მეწარმის საქმიანობა. აღინიშნა, რომ ჩვენი მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში დევს ის, რომ ეროვნულმა მეწარმეობამ არ იარსებოს. „გადასახადები, გაუთავებელი შემოწმებები სხვადასხვა უწყებებისა და ჩინოვნიკების მიერ, იძულებულს გვხდის შევწყვიტოთ ფუნქციონირება. ჩვენ მომხრე ვართ კვალიფიციური კონტროლის და არა გასაწეწად შემოღებული წესების" – განაცხადეს მეწარმეებმა. (იფრინდა)

### მოშიმშილეთა დასახმარებლად დევნილებში თანხას აგროვებენ

ბუშინ მოშიმშილე პარლამენტართა პრეს-ცენტრმა გაავრცელა განაცხადა, რომელშიც ნათქვამია, რომ მოშიმშილეთა დახმარების მოტივით, აქციის შტაბის სახელით, აფხაზეთიდან და ჩრდილო ქართლიდან დევნილ მოსახლეობაში არაკეთილსინდისიერი პიროვნებები აგროვებენ თანხას, დაახლოებით 5 ლარის ოდენობით. განცხადების ავტორები აცხადებენ, რომ „ეს არის მოშიმშილე პარლამენტართა ამ უაღრესად ზნეობრივი აქციის დისკრედიტაციისაკენ მიმართული პროვოკაცია". (იფრინდა)

## ● საით მიდის საქართველო?

ეროვნული

*რედაქტორისაგან: ამ წერილის ავტორის სახელი და გვარი საქართველოში 1995 წელს საპრეზიდენტო არჩევნებისას [illegible] ჭაჭია გახლდათ ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის ერთგულესი მხარდამჭერი საარჩევნო მარათონში.*

*მე რატომღაც ველოდი, რომ ბატონ ნუგზარ ფოფხაძის მიერ 19 მწარე შეკითხვაზე გაცემულ პასუხებს, მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს, რომელმაც განსაკუთრებით ცხოველი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებრიობაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ემიგრაციაში მყოფ ქართველებშიც კი, სწორედ ამ წერილის ავტორი გამოეხმაურებოდა...*

*მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აქვე მადლობა გადავუხადო ბატონ ნუგზარს, რომელმაც ორი თვე კატორღულად იშრომა რედაქციის კითხვების გამო და ვისთვის მისაღები, ვისთვის მიუღებელი, მაგრამ პირუთვნელი მემატიანისათვის ფასდაუდებელი მასალა დადო...*

*ბატონმა ალექსანდრემ ამ დღეებში რედაქციაში ვრცელი წერილი გამოგვიგზავნა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ წერილში სულ სხვა თემაზე მსჯელობა, მაგრამ ერთობ საინტერესო თემაზე.*

*ამ წერილში ჩანს ერუდირებული და ნიჭიერი პოლიტოლოგი. მე, როგორც არაპოლიტიკოსს, არ შემიძლია კომპეტენტურად ვიმსჯელო იმაზე, რამდენად მართებულია ავტორის პოზიცია, მსჯელობისას მოტანილი არგუმენტები, მაგრამ ერთი კია, მისი წაკითხვა შემაძრწუნებელ განცდას ბადებს ჩვენი ქვეყნის ავბედითობის გამო. წერილში წამოჭრილი საკითხები ბევრ კითხვას აღძრავს, პირადად ბევრი რამ ერთობ საკამათოდაც მეჩვენება, მაგრამ ვაქვეყნებ მას, როგორც სერიოზულ ნააზრევს კითხვაზე – „საით მიდის საქართველო?" ავტორმა, ჩანს, რომ გაზეთი „საქართველო" მიიჩნია იმ სერიოზულ ორგანოდ, სადაც ბოლოსდაბოლოს ამ კითხვაზე უნდა დაიწყოს დისპუტი.*

*დღეს ისევ ისე მწვავედ დგას დღის წესრიგში საქართველოს ორიენტაციის საკითხი, როგორც ეს 200 წლის წინ დადგა ქართული საზოგადოებრიობის წინაშე.*

*ვთხოვ ჩვენს პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებს, მწერლებს, მეცნიერებს, გამოგვეხმაურონ. ვაქციოთ ფართო მსჯელობის საგნად ჩვენი იდეოლოგიის, ორიენტაციის, საქართველოს არჩევნის თემა. როცა ილია ჭავჭავაძემ მოხევე ლელთ ღუნიას ათქმევინა – ჩვენი თავი ჩვენადვე გვაყუდნოდესო, ამით არა მხოლოდ ქართველი კაცის დამოუკიდებლობის სურვილს გაუსვა ხაზი, არამედ იმასაც, რომ ქართველს ჯერ კიდევ გააჩნდა თავისი მრწამსი, იცოდა, არჩეული ჰქონდა ცხოვრების სავალი გზა. გადის ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წელიწადი და გალაკტიონი იმავ მოხევის შთამომავალ მოხევეზე იტყვის –*

*„დაკარგულია გზა მოხევის*
*ბნელდება ღამე მიუშველენით"...*

*ეს გზა დღეს თითქოს ნაპოვნია, მაგრამ დამოკლეს მახვილივით მაინც ჰკიდია ჩვენს ყოფას კითხვა – საით მიდის თვით საქართველო?*

*ალექსანდრე ჭაჭიას წერილის გამოქვეყნებით ვიწყებთ დისკუსიას ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.*

# გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი



**ალექსანდრე ჭაჭია**

როცა საქართველოს ტელევიზიის პოლიტიკურ პროგრამებს ვუსმენთ ან ქართველ პოლიტიკოსთა სტატიებს ვკითხულობთ, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ადამიანები რომელიღაც ვირტუალურ სინამდვილეში ცხოვრობენ და აბსოლუტურად არა აქვთ გათვიცნობიერებული კატასტროფული მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა ბოლო წლებში. არა და დღეს მთელი თავისი საშინელი აქტუალურობითაა გამოსახული მთავარი პრობლემა – ქართველი ერის, როგორც საკუთარი ტერიტორიის მფლობელი ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ერთიანობის შენარჩუნების პრობლემა.

ჩვენი დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ქვეყნის ხელმძღვანელობა დაჟინებით და სისტემატურად უნერგავს ხალხს აზრს, საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის, მისი მეზობელი სახელმწიფოებისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკისათვის გამონაკლისი მნიშვნელობის შესახებ, რის გამოც თითქოს საქართველო მალე შვეიცარიად გადაიქცევა, ხოლო ყოველი ქართველი კუვეიტის შეიხივით იცხოვრებს. ჩვენ თავს მოგვახვიეს სხვის კმაყოფაზე მყოფის, მუქთახორის ეს ფსიქოლოგია და ნელ-ნელა გადაგვაჩვიეს მუშაობას, საკუთარი ეკონომიკის შექმნისა და განვითარებისკენ მისწრაფებას. გასული პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე მთავრობა, პრემიერი, ათობით მინისტრი, სამი პარლამენტი გამოიცვალა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუთავაზებია მოდერნიზაციული პროექტის, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალური მოდელის რაიმე მსგავსი. დღემდე ჩვენ გვესმის: „ამერიკა დაგვეხმარება", „თურქეთი გვიშველის", „რუსეთი გვიხსნის", „სავალუტო ფონდი კრედიტებს გამოგვიყოფს", „ნავთობსადენი მილიონებს მოგვცემს" და ა.შ. (მაშ რისთვის ხართ თქვენ, მთავრობა, თუ „ისინი" შეგვინახავენ?).

დიახ, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ძალზედ მომგებიანია, მაგრამ ვინ სთქვა, რომ ამ მდგომარეობის უპირატესობებით აუცილებლად ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოთი უნდა ისარგებლოს? პირიქით, ბოლო წლების მოვლენების ანალიზი, სხვადასხვა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული კონცეფციების, მსოფლიო პოლიტიკური ელიტის პერსპექტიული გეგმების გაცნობა გვიჩვენებს, რომ არსებობს ძლიერთა ამ ქვეყნისათვის მისაღები თვალსაზრისი, – რომ არ არის საჭირო მაინც და მაინც საქართველომ და ქართველმა ხალხმა შეასრულოს რეგიონში ფუნქციონალური როლი, ამ ტერიტორიაზე სათანადო როლის შესრულებას მოახერხებენ სხვა ქვეყნები. ვინმეს ეს ფანტასტიური მოეჩვენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სრულიად შესაძლებელია. ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოს ახალი, ძალზე სასტიკი გადანაწილების პერიოდში, როცა წყდება არა მხოლოდ ძლიერი ქვეყნების სუსტებზე გაბატონების საკითხი, არამედ ამა თუ იმ ხალხის, ქვეყნის არსებობის მიზანშეწონილების საკითხიც კი. იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა ეს ტექნიკური თვალსაზრისით, ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვჭირდება განსჯა სხვა ქვეყნების მაგალითზე (თუმცა მსოფლიოში ამის მაგალითი საკმაოდაა), ჩვენ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით ამაში საკუთარ მაგალითზე: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს უკვე აღარ ეკუთვნის, თანაც აფხაზეთი ზუსტად ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია, რომელიც განაპირობებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. აფხაზეთის გარეშე ეს მნიშვნელობა განახევრებულია. მეორე ასეთივე მნიშვნელობის რეგიონი არის აჭარა, რომელზეც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ფაქტიურად აღარ ვრცელდება. მაგრამ მოდის ის დრო, როცა საქართველოსადმი ფაქტიური დაუმორჩილებლობა საჭიროებს იურიდიულ გაფორმებას. და აი უკვე თურქეთში გამოიცემა წიგნები, იბეჭდება სტატიები, რომლებშიც გვიმტკიცებენ, რომ „აჭარელი ხალხი" თურქულ ეთნოსს მიეკუთვნება, ისმის მოწოდებები შეწყდეს „აჭარელთა ასწლიანი ძალდატანებითი გაქართველება". პარალელურად გაშლილია XIX საუკუნის რუსულ-თურქული ხელშეკრულებების გადახედვის ძლიერი კამპანია. ლაპარაკია იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვით თურქეთმა დაუთმო რუსეთს ტერიტორია, მათ შორის აჭარაც. არგუმენტი მოყავთ საკმაოდ სერიოზული: თურქეთმა დაუთმო ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიას, რომლის უფლებათა მემკვიდრე იყო საბჭოთა კავშირი. დღეს არ არსებობს არც რუსეთის იმპერია, არც სსრკ. საქართველო კი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ამიტომ ის ხელშეკრულებები ძალას კარგავენ; თურქეთს საქართველოსთვის აჭარა კი არ დაუთმია, ამიტომ იგი მას არ ეკუთვნისო. ეს არგუმენტაცია განსაკუთრებული მნიშვნელობის ხდება თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ: 1) ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღიარეს თურქეთი რეგიონალურ ზესახელმწიფოდ, კავკასიაზე გავლენის გავრცელების უფლებით; 2) რუსეთს არ ძალუძს შეინარჩუნოს რეგიონში თავისი გავლენა და სტრატეგიულ დათმობებზე მიდის; 3) საქართველო თურქეთზე იმდენადაა ეკონომიკურად დამოკიდებული, რომ წინააღმდეგობის გაწევის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნია, მითუმეტეს, რომ ძლიერი სტრატეგიული მოკავშირე საქართველოს არ ჰყავს; 4) საქართველოს ხელმძღვანელობას დღემდე არა აქვს შემუშავებული განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ერთიანობას. ამ გარემოებათა ფონზე ნათელი ხდება ა.აბაშიძის მიერ რუსეთის პრესაში ახლახან გამოხატული უკმაყოფილება საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიციით მთელ რიგ საკითხებში და აგრეთვე მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ „ავტონომიის სტატუსი ჩვენ ჯერჯერობით გვაწყობსო". გასაგებია, რომ აჭარაზე კონტროლის დაკარგვასთან ერთად საქართველო კარგავს მეორე (აფხაზეთის შემდეგ) რეგიონსაც, რომლის გარეშე გეოსტრატეგიული მდგომარეობის მნიშვნელობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ელფერს ღებულობს რიგი პოლიტიკური ძალების მოთხოვნა რუსეთის ჯარის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. მე არ მეპარება ეჭვი იმ ადამიანთა პატრიოტულ განზრახვაში, რომლებიც ამაში გულწრფელად ხედავენ არსებული, მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს, მაგრამ აგრეთვე ეჭვი არ მეპარება იმაშიც, რომ ქართული მხარის მიერ ამ გადაწყვეტილებების მიღების იდეა თავისი აზრით პროვოკაციულია. წარმოიდგინეთ, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ჯარის საქართველოს მთელი ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. როგორ მოიქცევა ამ სიტუაციაში აჭარის უზენაესი საბჭო? რა იქნება, თუ აჭარა არ დაემორჩილება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, ხომ არ იქნება ეს ამ რეგიონის რეალური გამოყოფის დასაწყისი? საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს პარლამენტი დაუბრუნდა ამ პრობლემის განხილვას სწორედ მაშინ, როცა მოსკოვში წყდება რიგი რეგიონებიდან, მათ შორის საქართველოდან ჯარის გაყვანის საკითხი. ეტყობა ვიღაცას არ აწყობს პრობლემის უმტკივნეულო, უკონფლიქტო გადაწყვეტა, ვიღაცას ისევ სჭირდება აფეთქება, კონფლიქტი, სჭირდება სეპარატიზმის ახალი კერა საქართველოში.

განვიხილოთ მდგომარეობა საქართველოს სხვა მნიშვნელოვან რეგიონში – მესხეთ-ჯავახეთში. ორი თვის წინ მოსკოვში პრაქტიკულად მიღებულია გადაწყვეტილება, ახალქალაქში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის შესახებ. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მოლაყბე „პოლიტიკოსი" იზეიმებს ამას, როგორც იმპერიაზე თავიანთ „გამარჯვებას". მაგრამ ადამიანი, რომელიც ოდნავ მაინც ერკვევა პოლიტიკაში, აუცილებლად იფიქრებს: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსები თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას იმ მოვლენებზე, რომლებიც უნდა განვითარდეს ამ რეგიონში, სადაც ქართველები მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენენ? ჩაფიქრების საფუძველს შემდეგი გარემოებებიც იძლევა: 1) ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა აქტიურად განწყობილია შექმნას საკუთარი „ავტონომია"; 2) მოსახლეობის შეიარაღების დონე ძალზე მაღალია; 3) არ არსებობს იმის. გარანტია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზის კუთვნილი იარაღი სრულიად გატანილ იქნება, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ბაზის პირადი შემადგენლობის უმრავლესობის ეროვნულობას; 4) სომხეთს გააჩნია ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი და კარგად შეიარაღებული ჯარი; 5) სომხეთი არის ამიერკავკასიაში რუსეთის ერთადერთი სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც თანაც მხარს უჭერს რუსეთის პოზიციას ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა არ ღებულობს არავითარ ზომებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა სომეხი მოსახლეობის ქართულ ეროვნულ სხეულში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრირებაზე.

მესხეთ-ჯავახეთისათვის მუშავდება სხვა ვარიანტიც. როცა თურქეთისგან საქართველოს ფინანსურ-ეკონომიკური დამოკიდებულება აბსოლუტური და შეუქცევადი გახდება, ჩვენ ულტიმატურ ფორმაში მოგვთხოვენ ამ რეგიონში თურქ-მესხების ჩასახლებას (მათი საერთო რაოდენობა დღეს ოთხას ათას კაცს აღემატება). რა თქმა უნდა, საქართველოს ხელმძღვანელობა, „ჰუმანურობის პრინციპიდან", „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებიდან" გამომდინარე და „მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის" გათვალისწინებით ჩვენი „ცივილიზებული" პარლამენტის ტაშის ქვეშ მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, რომ ადგილობრივი სომეხი მოსახლეობისა და ჩასახლებულთა შორის კონფლიქტი გარდაუვალია. ამ მდგომარეობის „ხსნას" იკისრებს დაინტერესებული ძლიერი მეზობელი, რომელიც დააწესებს კიდევაც ამ ტერიტორიაზე კონტროლს. ვინ ვის დაუთმობს „მხსნელის" როლს – თურქეთი სომხეთს თუ პირიქით, ჩვენთვის არც ისე მნიშვნელოვანია.

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## „სამანიშვილის დედინაცვალი“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

დავით კლდიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების შესახებ დიდებული მემუარები დაგვიტოვა, საკუთრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით მხოლოდ მწირი თითო-ოროლა ფრაზა გაიმეტა. ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მართალია, ვრცლად არც ამ მშვენიერი თხზულების შექმნის შესახებ მსჯელობს, მაგრამ მრავალმხრივ საყურადღებოა ის ჩანაწერიც, რომელსაც აქ წარმოვადგენთ.

„ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ – იგონებდა მწერალი – ზღვის პირას ვზივართ. ვოლსკიმ თქვა, – ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დავეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან. გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ: ვოლსკი რაღაცას მეუბნება – მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდი, ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაქებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი...

– მე არ მოვდივარ, გრიშა! – ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც იმხანად ვიყავი.

– რა იყო, რა მოგივიდა? – მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი. მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ, მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდები და გატაცებით დავიწყე წერა, გახარებული.

ეს მუშაობა კი არა, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ექიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთ ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, სურათებს, წვრილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

– აბა, მოყევი! – და მეც მოვყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მოამბეს“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ – პლატონის სიზმარი. ვუთხარი მხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?“ – ნუ სულელობ! – შემომიტია მან. – შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება: არ გაგზავნო იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგივრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან – პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩახედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით: მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი (გაიხსენეთ ჯიმშერ სალომბერიძის ოჯახის აღწერა „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. ნ.გ.). მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი. მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა.

აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

– ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის! – ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „მოამბეს“ რედაქციაშიც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამოგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავემდურები – ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ძალიან თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში: მასთან იყო არტურ ლაისტი.

– მე შენ ხმას არ გაგცემ! – შემომიტია პეტრემ. – რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

– რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? – შევეკითხე.

– რატომ და მიტომ, – ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა! გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში – რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი.

– არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

– გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. – შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი“.

ეს არის ყველაფერი ის, რაც თვით დავითის ნაწერებში შეიძლება მოიძიოთ „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესახებ.

დაკვირვებული თვალი აღნიშნულ მოგონებაში ბევრ რამე საგულისხმოს ამოიკითხავს.

ჩანს, როგორ წერდა დავითი, როგორი იყო მისი შემოქმედებითი ლაბორატორია. „თითქოს ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა“. მწერალი თანამონაწილეა, ცოცხალ სურათებად წარმოიდგენს ყველა იმ სიუჟეტს, რომელსაც ნაწარმოებში განავითარებს. უხილავად ახლდევნებია ბეხრეკ და ზურგგადატყაულ ცხენზე ამხედრებულ სახეჩამოხეთილ პლატონ სამანიშვილს. არ ჩანს არსად და იგრძნობა ყველგან. ამიტომ არის, ვერსად, ვერც ერთ სიუჟეტში, ვერცერთ დიალოგში ვერ იპოვით ყალბ, არაბუნებრივ ფრაზას, ამბის არამოტივირებულ განვითარებას. დავით კლდიაშვილის დიდი მწერლობის საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, მის ბუნებრიობაშია. მის ხელოვნებაში არაფერია ხელოვნური. დავითი ვირტუოზულად დააბიჯებს იმ ბეწვის ხიდზე, რომელიც ნატურალიზმსა და რომანტიზმს შორის პარნასიდან ჩამოუშვიათ მუზებს – ხელოვნების ქალღმერთებს.

მოგზაურობა რომ მხატვრული ხერხია, იმერეთის ოკრო-ბოკრო გზებზე სადედინაცვლოს საპოვნელად გამოსული პლატონის ხეტიალი რომ ბრწყინვალე მიგნებაა მწერლისათვის მხატვრული ამოცანის ხორცშესასხმელად, ეს თხზულების წაკითხვისთანავე შეუმჩნევია პეტრე უმიკაშვილს, მაგრამ დახეთ, რა საინტერესო პასუხს იძლევა დავითი მეგობრის საყვედურზე – გადმოვიყვანდი პლატონს ქართლში, კახეთში, რა საინტერესო სურათები იქნებოდა, იმერეთში რად მოანახინე სადედინაცვლო.

დავით კლდიაშვილი ამბობს – არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

ხედავთ, როგორ მოთხოვნას უყენებს მწერალი საკუთარ თავს. ნიუანსებში, ძირისძირობამდე, თვალით უნდა ხედავდე, გემოთი, ყნოსვით, ტანით უნდა გრძნობდე იმას, რაზედაც წერ. ფლობერივით დარიშხანის გემო უნდა იგრძნო პირში, როცა მადამ ბოვარს „წამლავ“. ცვაიგივით გულის გასკდომამდე უნდა გიყვარდეს, როცა უცნობ შეყვარებულ ქალს წერილს დააწერინებ, გრძნობებს ისევე ბუნებრივად უნდა ამოჰყვნენ ის ერთადერთი და კონტექსტისათვის შეუცვლელი სიტყვები, როგორც ბუნებრივად სწყდებიან ცაზე ამოგორებულ ცხელ დისკოს სხივები.

ასე ხდება კლდიაშვილის შემოქმედებაში.

ვინ იცის, პავლე მაჭავარიანმა რამდენ სტუმარს მოუთხრო ბერწი სადედინაცვლოს საძებნელად სოფელ-სოფელ მოხეტიალე პლატონ სამანიშვილის სიუჟეტი, ისე როგორც პუშკინს, ვინ უწყის, გოგოლის გარდა, რამდენი მეგობარი უხითხითებია ჩიჩიკოვის გაუგონარი მოგზაურობით, მკვდარი სულების საყიდლად მეძებარი ძაღლივით ენაგადმოგდებული რომ დაქოშინობდა ერთი თავადის სამფლობელოდან მეორე, მეათე და მეასე თავადის სასახლისაკენ. მაგრამ თავისთავად ამბავი, თუნდაც საკვირველი მწერლობისათვის, არაფერს ნიშნავს. ყველაფერს ნიშნავს საკვირველი ნიჭი, თხრობის, სურათების ცოცხლად ხატვის და რაც მთავარია, ამბის განზოგადების იშვიათი უნარი, რომლითაც ლიტერატურის ისტორიას სამუდამოდ შერჩა მაინცადამაინც გოგოლის სახელი, რომელსაც „მკვდარი სულების“ ფაბულა პუშკინმა უამბო და სახელი დავით კლდიაშვილისა, რომლის გარდა, ვიმეორებთ, მის მიერ გადმოცემულ ამბებს იმერეთში მოყოლით, ალბათ, სხვაც ბევრი ვინმე მოგვიყვებოდათ.

აქედან გამომდინარე, რაკი ნაწარმოების განხილვა განვიზრახეთ, ლიტერატურის მასწავლებელმა და ლიტერატურის შემსწავლელებმა ერთად დავსვათ კითხვა და ერთმანეთს გავუზიაროთ ფიქრი იმ ამოცანის ამოსახსნელად, თუ რაში დევს ნაწარმოების წარმატების საიდუმლო.

ჩვენ არ გაგვიჭირდება მოვძებნოთ თემა ან თემები, ანუ ამოვიკითხოთ ის შინაარსი, რაც ჩაფენილია „სამანიშვილის დედინაცვალში“. ჩვენ მწერლის სათქმელის მიხვედრასა და განზოგადებასაც მოვახერხებთ, არც ეს არის ძალიან ძნელი საქმე, რადგან თუ ოდნავ გონიერი მკითხველი ვერ მიხვდება, რა უნდა, რაზე წერს და რისთვის წერს შემოქმედი, ეს თითქმის ყოველთვის მწერლის პრობლემაა და არა მისი მკითხველისა (ბუნებრივია, ღმერთი ყველას ვერ აკოცებდა შუბლზე და ასეთი ვითომ მწერლებიც არსებობენ).

უმთავრესი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში არის არა „რა“, არამედ „როგორ“. უმთავრესია არა გრძნობა, განცდა, რომელიც ჩვენც გაგვაჩნია, უბრალო მოკვდავთ, არამედ იმ გრძნობათა, განცდათა და ამბავთა ისე გადმოცემა, როცა პერსონაჟთა ცხოვრების სრულუფლებიანი წევრი ჩვენც ვხდებით თხზულების კითხვისას და იმდენად რეალისტურად, ჩვეულებრივად და ბუნებრივად გვეჩვენება მხატვრის მიერ შეთხზული სამყარო, რომ უნებლიედ წამოგვცდება „ამას ხომ მეც დავწერდი“... ან უკეთეს შემთხვევაში, ლიტერატურაში კარგად ჩახედული პროფესიონალი იტყვის: აი, ამას მე ვერ დავწერდი.

მწერლისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტოქე მკითხველის გაჩენა წარმატების დასტურია, უბედურება ის არის, როცა ამა თუ იმ მწერლის თხზულების კითხვისას ყალბი დიალოგებისა და არამოტივირებული, კაბინეტიდან წარმოდგენილი, თანაგანცდის გრძნობის გარეშე აღწერილი სიუჟეტების გადამკიდე მკითხველი იტყვის – ამას მე არ დავწერდი.

მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე არავისი აზრი არ გაქვთ მოსმენილი.

ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ, რა ქმნის იმ ესთეტიკური სიამოვნების საიდუმლოს, რაც „სამანიშვილის დედინაცვლის“ კითხვისას მოგვენიჭა.

ლიტერატურისმცოდნეობას, ისე როგორც, საზოგადოდ, ხელოვნებისმცოდნეობას, ცხადია, არ გააჩნია ის ზუსტი ბარომეტრი, რომლითაც მხატვრული აზროვნების რაობა შეფასდება. ამიტომ თითოეულ თქვენთაგანს შეგიძლიათ იპოვოთ ის საიდუმლო, რომლითაც მხატვრული თხზულების ახალ სამყაროს ეზიარებით. სულაც არ არის საჭირო მწერლის სამყაროს კარს ყველამ ერთნაირი გასაღები მოარგოს. ამ სამყაროში შესვლაც თავისებური შემოქმედებაა და იმდენივე ზღურბლი არსებობს იქ შესაბიჯებლად, რამდენი გონიერი მკითხველიც ჰყავს დიდ მწერალს.

დავარღვიოთ ტრადიცია და „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვა დავიწყოთ საკითხით – „როგორ“. როგორ გადმოსცემს მწერალი ამბავს, მოვლენას, საგანს, ხასიათს.

როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ყველაზე ძნელი ყოველთვის საქმის დაწყება, პირველი ხნულის გავლებაა. დავითს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ჩემთვის პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“.

აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყება „ქამუშაძის გაჭირვება“.

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“.

პირველივე ფრაზა დავით კლდიაშვილის განუმეორებელი სტილისტიკის დასტურია. აი, რატომ: შინაარსი ხომ ძალიან მარტივია ამ ფრაზისა, საშუალო ნიჭი, ვთქვათ, ასე გამოხატავდა – „აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლის თხოვის დრო დაუდგა“ რითაც, ერთი შეხედვით, არსებითად არაფერი იცვლება, მაგრამ საქმეც ის არის, რა სიტყვებით შეუდგება მწერალი თავისი ფიქრის ხორცშესხმას – იმას აქვს დიდი მნიშვნელობა. კლდიაშვილისეულ დასაწყისში მისთვის დამახასიათებელი ისეთი ირონიაა ჩაქსოვილი, ერთდროულად ემპირიულ, ხილულ სინამდვილესაც რომ გულისხმობს, ამ სინამდვილისადმი ირონიულ დამოკიდებულებასაც, ხოლო შემდგომი მოვლენების ჩვენებით თვით ამ სინამდვილის ტრაგი-კომიკურ არსს. ბევრია არა, ერთ ფრაზაზე ამდენი „ტვირთის აკიდება?“ დავუკვირდეთ: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა“–

აბა რა უნდა ექნა, – პირველივე ფრაზით მწერალი თითქოს ირონიით ამართლებს ოტიას გადაწყვეტილებას, არც ერთი სიტყვა სიყვარულზე, ჭაბუკის გულის თრთოლვაზე, ქალის შეყვარებაზე თუ არა, მოწონებაზე მაინც. ასე ხომ ჭირნახულის აღების პროცესიც შეიძლებოდა თქმულიყო: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა აზნაურ ოტია ქამუშაძეს მოსავალი აეღო“. საქმეც ის არის, რომ ოტიასთვის ცოლის თხოვნა მორიგი, აუცილებელი ყოფითი საკითხის გადაწყვეტაა (ვთქვათ, როგორც ჭირნახულის აუცილებლად აღებაა საჭირო) და არა და არა ადამიანის ცხოვრების გზაჯვარედინზე სიყვარულის ბედნიერად დაგვირგვინების აქტი. კლდიაშვილის კუჭგამხმარი გმირების ფიქრებში სიყვარულს არ გააჩნია თავისი წილი სამკვიდრო.

პირველივე ფრაზაში კიდევ ერთი სიტყვაა, ვერცერთი სხვა სიტყვით რომ ვერ შეცვლით. „საჭიროებაც მოითხოვდა“-ო. „სწორედ დროც იყო და გარემოებაც მოითხოვდა“ – რომ დაეწერა ავტორს, რაღაც ძალიან დიდი ნიუანსი დაიკარგებოდა. კი ბატონო, გარემოება მოითხოვდა ნიშნავს იმას, რომ ვითარება ხელს უწყობდა ჭაბუკს საქორწინოდ, ნიშნავს იმასაც, რომ მოხუცებული დედის ამარა დარჩენილ ოჯახს ახალგაზრდა ქალის ხელი სჭირდებოდა და ა.შ. მაგრამ ეს სიტყვა „საჭიროება“, მოიცავს ყველაფერს ზემოთქმულს ერთი დამატებითი, ასევე ყოფითი, თან ირონიზირებული ნიუანსით – სოფელში გამოკეტილმა, ჯეელმა ოტიამ, ყანაში განუწყვეტლივ თოხის მობაყუნემ, ქალის საჭიროება იგრძნო...

ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობის სრულად ჩაკითხვის შემდეგ, მკითხველი რწმუნდება: საჭიროების მიხედვით კი, მაგრამ გარემოების გამო სწორედ დრო არ ყოფილა საწყალ ოტიას ცოლი ეთხოვა, ნაწარმოების დასაწყისი საერთოდ ტრაგი-კომიკურ ელფერს იძენს.

ასე რომ, კლდიაშვილის ჩანაწერი – „დიდხანს ვარჩევდი, თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას“, – მხოლოდ თეორიული განაცხადი არ არის.

ასევე მრავლისმეტყველია „სამანიშვილის დედინაცვლის“ დასაწყისი, პირველივე სულ რაღაც 8 სიტყვიანი წინადადებაც.

„ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“.

მწერალი თავისი პერსონაჟის სიღარიბეზე ხაზგასმას არ სჯერდება. მეორეჯერ აკეთებს აქცენტირებას – გვარიანი ღარიბიო – წერს და ეს აქცენტი თხზულების საერთო სტილისტიკაში, ბეკინას გაუთავებელი ტრაბახის ფონზე საკუთარ „სიმდიდრეს“ რომ აღუფრთოვანებია, თანდათანობით იძენს მხატვრულ ეფექტს.

მეორე გარემოებასაც მიაქციეთ ყურადღება „ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო“. ერთადერთი სიტყვა გამოვტოვე – „რასაკვირველია“. არადა, ეს უკვე აღარ არის კლდიაშვილისეული ფრაზა. ერთი სიტყვით – რასაკვირველია, – დავითი თხზულების დასაწყისშივე კავშირს აბამს თავის წინა, უკვე დაწერილ და მომდევნო, ჯერაც შესათხზავ ნაწარმოებებთან.

ჩვენ ხომ ადრეც ვთქვით, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში ზოგადად ერთი ხალხი ჩანს ავანსცენაზე. შიმშილით, სიღატაკით გაწამებული ადამიანი, რომელსაც წართმეული აქვს მზისქვეშეთში ადამიანურად ცხოვრების უფლება და იბრძვის არსებობის უფლების შენარჩუნებისათვის, რომელიც მხოლოდ სახეს, სახელს და გადარჩენისათვის ბრძოლის ხერხებს იცვლის სხვადასხვა თხზულებებში. ამიტომ „ბეკინა სამანიშვილიც, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო“ ანუ მწერალი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ წინა თხზულებებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ სამყაროში აღმოვჩნდებით.

თუმცა მწერლის დიდი ნიჭის წყალობით უკვე ნაცნობი სამყარო ერთფეროვნების საშიშროების ნაცვლად, იმდენად ახლებური კუთხით, მოულოდნელი სიუჟეტებით წარმოჩინდება, თითქოს მწერალი საკუთარი შესაძლებლობების ამოუწურაობის აზარტით იყოს შეპყრობილი.

პლატონ სამანიშვილის საგა, ეს არის ტრაგი-კომედიის ბრწყინვალე ნიმუში მივყვეთ, მკითხველო, ბეხრეკ ცხენზე „ამხედრებულ“ (ესეც კლდიაშვილის სტილისტიკიდან არის), ბერწი სადედინაცვლოს მოსახილავად წასულ უბედურ პლატონ სამანიშვილს, მის უბედურებაზე რომ აგერ უკვე საუკუნეა იცინის ქართველი მკითხველი და ამ სიცილით ან ამ სიცილთან ერთად გული რომ ეკუმშება.

გაგრძელება იქნება

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**გრ.აბაშიძე** – ახლა შემდეგი ამბავი.

როგორც მე უკვე გითხარით, გუშინ ჩვენ ვიყავით 18 კაცი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან. ჩვენ მივედით იმ წინადადებით, რომელიც ჩავთვალეთ ერთადერთ გამართულ წინადადებად. ეს არის, რომ ჩაიწეროს „რესპუბლიკის" „სახელმწიფოს" მაგივრად, რაც იმასავე ნიშნავს, რესპუბლიკა ხალხის სახელმწიფოს ნიშნავს, როგორც აქ უკვე განგიმარტათ გ.ჟორჟოლიანმა (ხმა დარბაზიდან – თუ იგივეს ნიშნავს, რატომ არ იწერება „სახელმწიფო"). არ ჩაწერეს იმის გამო, რომ ამხანაგ ლენინს აქვს კატეგორიული მითითება, შაუმიანს სწერს წერილს – შენ იქცევი, როგორც ურიადნიკიო (ნ.გაბრიჩიძე – 37 წლის შემდეგ დაწერა?). (ხმა დარბაზიდან – რუსულ ენაზეა ეგ დაწერილი). დიახ! რუსული ენის მიმართ დაწერა.

აქ ჩვენ რომ წავიდეთ პროვოკაციაზე და ჩვენ მოვუწოდოთ ხალხს, ეს არ შეიძლება, ჩვენ ცოტა უნდა დავუფიქრდეთ და არ უნდა დავაბეზღოთ ჩვენი ხალხი. ტაშისათვის ნუ ვილაპარაკებთ, ეს გამოვა, ჩვენი რესპუბლიკა დავაბეზღოთ, ჩვენი ხალხი დავაბეზღოთ. დაფიქრდით, ჩვენ შვილები გვყავს, ახალგაზრდები გვყავს. მე მახსოვს 9 მარტი, როდესაც ის მაქეზებლები სახლში დაიმალნენ და ბავშვებს ტყვიას უშენდნენ. ვაქეზებთ, როცა ვამბობთ, რომ კენჭი ვუყაროთ იმას, რაც არ შეიძლება. ნუ ვაკეთებთ, ნუ ვისარგებლებთ იმით, რომ ისინი ახალგაზრდები არიან, ამ ეგზალტაციაზე ჩვენს კაპიტალს ნუ გავაკეთებთ. ცოტა გადავხედოთ, ჩვენს ერს რა სჭირდება, რა უჭირს. ასე ხომ არ არის, რომ მარტო ჩემი ტაშისათვის გასწირო ხალხი. რეზო ჯაფარიძე არაფერზე ნაკლებად არ ფიქრობს და ისიც ჩვენთან ერთად უჭერდა გუშინ მხარს იმ ფორმულირებას და რესპუბლიკის ხელმძღვანელს უმტკიცებდა, რომ ეს საჭიროა და მან აღუთქვა, რომ ჩაწეროს ის ფორმულირება, რომელიც ჩვენ ხალხს დააკმაყოფილებს.

აქ ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ აქ სხვა უკეთესი წინადადება არ შეიძლება, ერთადერთია „სახელმწიფოს" მაგივრად ჩაიწეროს „რესპუბლიკა" და რომ დღევანდელი 75-ე მუხლი არ შეესაბამება იმ საკავშირო კონსტიტუციის სამ მუხლს. ამის გამო მივიღეთ დასტური. იმდენად გულთან ახლოს მიიღო, რომ დაგვპირდა, ყველა ღონეს მიიღებს, რომ ეს გაკეთდეს.

თუ გვინდა ჩვენ მართალი ვიყოთ ისტორიის, ჩვენი ხალხის, ჩვენი სინდისის წინაშე, ჩვენ მივიღოთ ეს შესწორება, რომელიც პრეზიდიუმმა წარუდგინა ცეკას. იქ არის აგრეთვე შესწორება, რომ განათლებას მშობლიურ ენაზე დაემატოს უმაღლესი განათლება, შესავალში დაემატოს ისიც, რაც აქ ითქვა. მივიღოთ ეს რეზოლუცია და ამით დავამთავროთ ეს კრება.

**პრ.რატიანი** – მაგალითად, რაც სთქვა ქალბატონმა თინამ იმ მუხლის მეორე ნაწილის შესახებ, მე ძალიან სერიოზულად მეჩვენება. თუნდაც „სახელმწიფოებრივი" რომ დაიწეროს და რაც არ უნდა ჩაიწეროს იმ პირველ ნაწილში, ეს მეორე მას აუქმებს. იქნებ დაიწეროს – აიკრძალოს ან არ იქნას დაშვებული არც ერთი ენის დისკრიმინაცია (ხმები – სწორია, სწორი). თქვენი ფორმულირებაა, ოღონდ დავაზუსტოთ.

**გრ.აბაშიძე** – მეც მომხრე ვარ. მეც მიმაჩნია, რომ ის აუცილებლად შესასწორებელია.

**პრ.რატიანი** – იქ გიწერიათ „კულტურული, სახელმწიფო"... და რატომ არ უნდა იყოს „პარტიულ ორგანიზაციებში". ჩაემატოს „ქართული ენა პარტიულ ორგანიზაციებში".

**გრ.აბაშიძე** – კარგი, ამხანაგო ნოდარ, მე შემოვედივარ წინადადებით, რომელიც შემოტანილი იქნა ჩვენი პრეზიდიუმის მიერ იმ დამატებებით, რომლებიც აქ იყო.

**ღ.იოსელიანი** – წაგვიკითხეთ, როგორ აყალიბებთ.

**ს.ნარიმანიძე** – მე-11 მუხლი ეკონომიურ მხარეს ეხება და უნდა შესწორდეს. აქ სწერია „სახელმწიფო საკუთრება მთელ საბჭოთა ხალხს ეკუთვნის.. სოციალისტური საკუთრების ფორმა არის..." აქ მგონი, უნდა იყოს: „სახელმწიფო საკუთრება ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხს".

**გრ. აბაშიძე** – ასე გავაკეთოთ. მინდა პრეზიდიუმს, რომ ეს დამატებები პირველი მუხლის შესახებ – თდონჯაშვილის მიერ წარმოდგენილი, ნ.წულეისკირის წინადადება შესავალი ნაწილის შესახებ, განათლების შესახებ ჩამოვაყალიბოთ და წარმოვუდგინოთ ცენტრალურ კომიტეტს ხვალ.

**ი.ვაკელი** – 75-ე მუხლში სწერია, რომ დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის მოთხოვნა, საჭიროების შემთხვევაში ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების ჩამოყალიბების შესახებ. მე მგონია, ეს უნდა ამოღებულ იქნას. რამდენი ოლქი უნდა შევქმნათ? ორი ათასი კაცი შეიყრება და მოგვთხოვს ოლქად გამოყოფას.

**გრ.აბაშიძე** – ეს საკავშირო კონსტიტუციის კვალობაზეა, მაგრამ ეს არ არის საფუძველმოკლებული, სერიოზულია. ამ ერთ მტკაველა მიწაზე სამი ავტონომია! მოვიფიქროთ.

გინდათ, პრეზიდიუმს მივენდოთ, გინდათ, გამოვყოთ 5 კაცი.

**თავმჯდომარე** – ვიმეორებ ბატონი გრიგოლის წინადადებას – ის ფორმულირება, რომელიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, პრეზიდიუმმა და გუშინ ვთხოვეთ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს, რომ ეს გაითვალისწინონ. ამას დავუმატებთ თქვენს მიერ წარმოთქმულ შენიშვნებს. შევადგენთ კიდევ ერთ დოკუმენტს და ვაახლებთ ხვალ ცეკას, საკონსტიტუციო კომისიას, ახლავე შევადგინოთ.

**პრ.რატიანი** – მაგალითად,

გაგრძელება. დასაწ. ის. „საქართველო" №4–24.

გაგრძელება იქნება

*გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველაძის ნოველების ახალი წიგნი. რევაზ მიშველაძე ის მწერალია, რომელიც ყველაზე ნაყოფიერად მუშაობს თანამედროვეობის მტკივნეულ პრობლემებზე და მხატვრული სიტყვით გამოხატავს თავის პირუთვნელ პოზიციას.*

*წიგნი იყიდება გამომცემლობა „მერანის" საფირმო მაღაზიაში. გთავაზობთ ამ წიგნის მწერლისეულ წინასიტყვას.*




# წინათქმა

ამ ბოლო, ხუთ წელიწადში ჩემმა სამშობლომ მთელი თავისი ძნელბედი ისტორიის აჩქარებულ-აკუმულირებული სვე გაიარა.

ეროვნული რევოლუცია... სამწლიანი თავისუფლება... ქვეყნის არსებობის მთელს მანძილზე საშინელი ომი ყველაზე დიდ მტერთან – რუსეთთან... სამოქალაქო ომი... ქართველ მარიონეტთა დახმარებით საქართველოს ხელახალი ანექსია.

სირცხვილით ვიწვი, რა სიამაყით ჰყვებიან ხელისუფალნი, თუ როგორ ჩაუჯდნენ ჯალათ ბალტინს ტანკში და როგორ შემოგრიხინდნენ ზუგდიდში.

საქართველოს და ჩემი პირადი (სამამულო ომში ერთადერთი შვილის დაღუპვა) უბედურებით გამოწვეული სტრესის გამო ერთხანს კალმის დანახვა მეჯავრებოდა.

მეჩვენებოდა, რომ ყოველივე ამაო იყო და წყალში გადასაყრელად მემეტებოდა აქამდე წვითა და დაგვით დაწერილი ჩემი ორმოციოდე წიგნი.

ერთ დღეს „შანსის" რედაქტორი მეწვია და მთხოვა, გაზეთის ყოველი ნომრისათვის თითო ახალი ნოველა მიმეწოდებინა. ეს მკითხველთა დაჟინებული თხოვნაა, ყველა ყველა და, თქვენ არა გაქვთ გაჩუმების უფლებაო.

არ ვიცი, მკითხველთა სურვილი რამდენად უმაგრებდა ზურგს ამ თხოვნას, მაგრამ შევთანხმდით, რომ ას უახლეს ნოველას ერთიმეორეზე, ნომერგაუშვებლად მივაწვდიდი გაზეთს.

ჩემს თავს ვაჯობე.

კვირაში სამჯერ გამოდის „შანსი", ე.ი. კვირაში სამ ნოველას ვწერდი.

სხვა შემთხვევაში ას ნოველას ჩვეულებრივ, ალბათ, ხუთ წელიწადზე ადრე ვერ დავწერდი.

გაზეთი მიმარბენინებდა, მაგრამ ვცდილობდი, მხატვრულ პროზაში ჟურნალიზმი არ შემპაროდა. მოვლენათა ცხელ კვალზე დაწერილ ნოველებს ნაჩქარევობა არ დატყობოდა. ეს კი ტიტანურ ძალისხმევას მოითხოვდა.

დავიღალე, მაგრამ პირობა შევასრულე.

არც კი ვიცი, არის თუ არა სხვა მაგალითი, მწერალს თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაზეთის ყველა ნომერში თითო ნოველა დაებეჭდოს.

მომიტევოს მკითხველმა და ამ წიგნის ავტორს გულწრფელად აქვს დაპყრობილ-გათელილი, გაყიდული საქართველოს ყოველდღიურობის მხატვრული მატიანის შექმნის პრეტენზია.

რევაზ მიშველაძე
15 ოქტომბერი, 1996 წ.
თბილისი

● *სულის ზრდა*

# მართლმადიდებლობის ზეიმი

„ეს არს ძლევა, რომლითა ძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი" (იოვ. 5.4)

დიდი მარხვის პირველი კვირა დღე მართლმადიდებლობის ზეიმის დღეა. იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით, სარწმუნოებამ სძლია სოფელს. სარწმუნოებას აქვს სასწაულთმოქმედი ძალა, ის ზნეობრივად განამტკიცებს და ცხოველყოფს ჩვენს კაცობრივ ბუნებას. სარწმუნოების გარეშე ადამიანისათვის ამა თუ იმ საქმეში წარმატების მიღწევა მეტად ძნელია. განამხნევებს და აძლიერებს მორწმუნეს და აძლევს ძალას, გადალახოს დაბრკოლებები, სირთულეები, სძლიოს ადამიანურ სისუსტეებს, ვნებებს.

სარწმუნოების შემწეობით, ძალითა და შეგონებით არის შექმნილი ყველაფერი ამაღლებული, ნათელი და მშვენიერი დედამიწაზე კაცობრიობის მიერ.

მართლმადიდებლობის ზეიმის დღეს წირვაზე იკითხება სახარებიდან ნაწყვეტი იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა მაცხოვარი ნათანაელს, გალილეის მკვიდრს. ნათანაელი იესო ქრისტეს შესახვედრად მოდიოდა, როდესაც უფალმა იხილა იგი და თქვა: „აჰა, ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაი არა არს". განცვიფრებულმა ნათანაელმა ჰკითხა მაცხოვარს, საიდან იცნობდა მას. მიუგო იესომ: სანამ ფილიპე გიხმობდა ჩემს სანახავად, ლეღვის ქვეშ მყოფი ვიხილე. უფალმა თვალი მიაპყრო ნათანაელს და ცხადი შეიქმნა მისთვის ამ ადამიანის სარწმუნოება, მხსნელის მოსვლაზე დამყარებული სასოება, მისი სუფთა და წმინდა გული. ამით მაცხოვარმა თვალნათლივ დაანახა ნათანაელს ღვთიური ძალა მისი ყოვლისმხილველობისა. ნათანაელმა ირწმუნა ქრისტე, ღმერთი და მეუფე ისრაელისა: „მიუგო მას ნათანაელ და ჰრქუა: რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაი, შენ ხარ მეუფე ისრაელისაი".

რატომ იკითხება ეს სახარება მართლმადიდებლობის კვირას? მაცხოვრის სიტყვებში ნათანაელის შესახებ მოცემულია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის სახე. უფლის თქმით ნათანაელი ჭეშმარიტი ქრისტიანია, უზაკველი, გულწრფელი, რომელიც მტკიცედ და მართლად აზროვნებს, სწამს, სასოებს, ამბობს და აკეთებს. ნათანაელმა იწამა ქრისტე, ძე ღვთისა და არასოდეს აღარ უმერყევია რწმენაში, არასოდეს დაეჭვებულა მაცხოვრის ღვთიურ ბუნებოვანებაზე.

განა ასეთი არ უნდა იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი, განა ასეთი არ უნდა იყოს მართლმადიდებელ ქრისტიანთა საზოგადოება, თავად მართლმადიდებლური ეკლესია. ბედნიერია ის ქრისტიანი, ვის შესახებაც უფალი იტყვის: „აი, ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაი არა არს". ასეთივე შექების ღირსია ეკლესია, უზაკველი, ამაო კაცებრივი ფიქრებისა და ზრუნვისაგან თავისუფალი და ჭეშმარიტი. ასეთია მართლმადიდებლური ეკლესია, „რომელ არს ეკლესია ღმრთისა ცხოველისაი, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა", (პავლე მოციქული).

მართლმადიდებლური ეკლესიის გადასარჩენად და მისი სიმტკიცისათვის დაღვრილია სისხლი მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, წმიდათა და მოწამეთა. მრავალი ტანჯვა გადახდომიათ მართლმადიდებლობის დამცველ წმიდა მამებსა და სარწმუნოებისათვის მებრძოლ ქრისტიანებს.

ჩვენი ვალია, გავუფრთხილდეთ და წმიდად დავიცვათ ეს უძვირფასესი საუნჯე, ღვთისაგან მონიჭებული მართლმადიდებლური სარწმუნოება, რამეთუ „ესე არს სარწმუნოება მოციქულთა, ეს არს სარწმუნოება მამათა, ამან სარწმუნოებამან სოფელი დაამყარა".

მადლიერება, სიყვარული და მორჩილება გვმართებს ღვთისადმი, რომ დღეს მართლმადიდებლები ვართ, ჭეშმარიტი სარწმუნოება გვიპყრია ხელთ და მით ვძლევთ ამსოფლიურ ცოდვილ ბუნებას. „ეს არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი". ნუ დავკარგავთ სანუკვარ საუნჯეს, ღვთისგან მოცემულ ტალანტს მიწაში ნუ დავფლავთ. დედა ეკლესია გვლოცავს, გვაკურთხებს, გვასწავლის. ვიყოთ მასთან, ვისმინოთ მისი სიტყვა და დავემორჩილოთ მას.

მარი მიძაძე

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 5 ოთახიანი მაღალჭერიანი, არატიპიური პროექტის სუფთა ბინა ქალაქის ცენტრში. საერთო ფართი 180 კვმ. ბინაშია ბუხარი. ლოჯი 22 კვმ გისოსებიანი 17 კვმ აივანი. 2 კაპიტალური სარდაფი 40+10, მანქანის სადგომი. ტელ. 36-71-51 ფასი საწყისი 75000 დოლარი

---

იყიდება 2 ოთახიანი გადაკეთებული სამად. ბინა თემქა III მ/რ-ნი რემონტით. ფასი 7000 დოლარი ტელ. 99-43-98

---

ჩუღურეთის რ-ნში ტურგენევის ქუჩაზე იყიდება პრივატიზებული მაღალჭერიანი 3-75 (მ) 2 ოთახიანი 18+20 ბინა ლოჯით (19 კვმ) ტელეფონით, აგევეთი (გათბობა) ორ-სართულიან სახლში II სართულზე. შეიძლება დაშენდეს ოთახებიც. ტელ. 37-61-75 ნატო. ფასი 15000 დოლარი.

---

იყიდება 2 სართულიანი აგარაკი ავჭალაში 900 მეტრი ნაკვეთით 50 მსხმოიარე ხეხილით. ვაზის ტალავერით. ფასი 10000 ლარი ტელ. 22-51-96

---

იყიდება კერძო სახლი მეტრო 300 არაგველებთან, ეზოში რამოდენიმე ოთახით, ხეხილის ბაღით, სულ 700 კვმ წყალი და ელექტროენერგია მუდმივი, შეიძლება გაიყიდოს 350 კვმ სახლის ასაშენებლად. ფასი შეთანხმებით ტელ. 74-45-87 (პირველი დოლაბაურის ქუჩა №1).

---

იყიდება, ქირავდება (მაღაზია ან ოფისზე) ან იცვლება შედარებით პატარა ფართზე 2 ოთახიანი 60 კვმ + სამზარეულო + აბაზანა. სულ 80 კვმ ჭერი 5 მ. ფასი ყიდვის 40000 დოლარი, ქირის 700 დოლარი. ტელ. 93-50-52

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, იტალიურ ეზოში ორ სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ეზოდან ცალკე სადარბაზო, მაღალჭერიანი, ოთახების ფართი 60 კვმ ტელეფონით, წინამძღვრიშვილის 182. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

---

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა. ფართობია 75 კვმ მაღალჭერიანი. ფასი 18500$ ტელ. 35-45-21 დათო, მანანა. მის. წინამძღვრიშვილის 182 (ყოფილი ქცეტკინის)

---

იყიდება იტალიური სტილის ორ-სართულიანი სახლის მე-2 სართულის III ოთახიანი იზოლირებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართი 60 კვ. მეტრია. ეზოდან ცალკე სადარბაზოა. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34-30-71

---

ვყიდი 5 ოთახიან ბინას სამსართულიანი აგურის შენობის მე-3 სართულზე. მთაწმინდაზე, ათარბეგოვის ქუჩაზე. ძველი რემონტით, კარგ მდგომარეობაში ტელ. 99-09-51

---

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართი 220 კვმ საბურთალოს ცენტრში, რემონტით, მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

---

იყიდება სასწრაფოდ 4 ოთახიანი ბინა კარგად გარემონტებული ჩეხური პროექტის ნუცუბიძის IV მ/რ V სართულზე, ტელეფონით და ავტოსადგომით. ფასი 22000 დოლარი ტელ. 38-01-11

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გრიბოედოვის 15-ში თავისი სათავსოებით, ბინა მაღალჭერიანია, პარკეტით, სამზარეულო და აბაზანა კაფელში, ბინა გარემონტებულია. ფასი 15000 დოლარი ტელ. 93-73-48

---

იყიდება ოროთახიანი არასტანდარტული ბინა რუსთაველზე - გრიბოედოვზე 60 კვმ სამზარეულო და აბაზანა 20 კვმ იზოლირებული. სულ 80 კვმ იყიდება, ქირავდება ოფისზე ან მაღაზიაზე ან იცვლება მცირე ფართზე შესაფერისი დამატებით. საწყისი ფასი 40000$ ტელ. 93-50-52

## სხვადასხვა

იყიდება უცხოური წარმოების მაღალაკუსტიკური ექვსსიმიანი გიტარები. ფასი 60-130 ლარამდე. ტელ. 96-34-51 ან 96-22-33

---

ვყიდი ახალ არაბული წარმოების სამეულს. ფასი 1000 დოლარი. ტელ. 61-11-39 ან 61-33-45

---

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი ვავილოვი, მე-2 გამოშვება. 1949 წლიდან 1957-წლის ჩათვლით. 40 ტომი. ტელ. 95-08-41

---

დაჩქარებული მეთოდით შევასწავლით კოსმეტიკას. მის. ნაძალადევი, ცოტნე დადიანის 26 ტელ. 66-53-56

---

ფსიქოლოგიური ტესტების და ციფრობრივი ჰოროსკოპის დახმარებით შევისწავლით პიროვნულ თავისებურებებს მომავლის წინასწარმეტყველებისა. ფასი - 3 ლარი. ტელ. 99-79-26; 74-06-34

---

სასწრაფოდ იყიდება გინოკოლოგიური სავარძელი სრული აღჭურვილობით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 73-79-81 ვლადიმერ მოსიძე

---

პროფესიონალი მუსიკოსები გაგილამაზებთ სუფრას ქართული სიმღერებით ტელ. 66-92-65 იკითხეთ მერაბი და მალხაზი

---

დაგეხმარებით სამუშაო ადგილის მოძებნაში საზღვარგარეთ სხვადასხვა სფეროში. ტელ. 93-11-94 მის. რუსთაველის 16; I სართული. ფირმა „ინტერჯობ".

---

იყიდება ჰოლანდიური სამეული და ორეული სხვადასხვა სტილის, მასიური მუხა, ნატურალური ტყავით. ფასი 2800-3500 დოლარამდე, ტელ. 96-69-75

---

იყიდება ქაღალდი რუსული „KO-16" რულონებში. 100-დან 130 კილოგრამამდე. ფასი 1 კგ - 1 ლარი. ტელ. 96-69-75

---

იყიდება სასადილოს და სამზარეულოს ორიგინალური მაგიდები ოთხი სკამით, მასიური მუხა, ჰოლანდიური, ფასი შეთანხმებით ტელ. 96-69-75

---

იყიდება კოსმეტიკური სავარძელი, შესაძლებელია მისი სტომატოლოგის მიერ გამოყენებაც. ფასი 400 ლარი ტელ. 74-23-80

---

იყიდება ჩეხური ახალი გიტარა „იოლანა". ავეჯის ვიტრინა, კოსმეტიკური ფაიფურის 4 ცალი ფილა, მაციევარი „სმაიგე" კარგ მდგომარეობაში. ტელ. 72-40-57

## ავტომანქანა

იყიდება თეთრი ფერის „ბმვ - 316" 1984 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში, ლუქით. ფასი 3000 დოლარი ტელ. 96-69-75

---

იყიდება „ტავრია" 1990 წელს გამოშვებული, თეთრი ფერის, დისტანციური სიგნალიზაციით, კარების დისტანციური ჩამკეტით, მაგნიტოფონით. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 39-82-02 ნათია

---

იყიდება მოსკვიჩი 412-ის პასპორტი და ნომრები, მანქანა გამოუყენებელია. ფასი 1000$ ტელ. 93-50-52

---

იყიდება გაზ-53 რვაცილინდრიანი, 27000 კმ გარბენით, ფასი შეთანხმებით ტელ. 22-09-84

---

იყიდება თეთრი ფერის ორკარიანი BMW 1984 წლის გამოშვება, ლუქით კარგ მდგომარეობაში, ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96-69-75

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოზე, I სართული, ოფისებისთვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-83-18

---

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოს ცენტრში, ავეჯით, 300 დოლარი ტელ. 38-01-11

---

ქირავდება 1,5 ბინა მეტრო პოლიტექნიკურთან, ერთ გოგონაზე, რომელიც იცხოვრებს დიასახლისთან ერთად. ტელ. 38-70-51; 38-26-88

---

ქირავდება გარაჟი ბოცვაძის ქ.№2, ვერაზე, ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-99-57

---

ქირავდება ოროთახიან ბინაში ერთი ოთახი (სასურველია ორი გოგონა ან ახალგაზრდა ოჯახი) გრიბოედოვის ქუჩაზე, ფასი 100$ ტელ. 99-78-11 ოლია

## მილოცვები

ქალბატონ დალი ბაჩეჩილაძეს ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. იყავით მუდამ კეთილი და სანდომიანი.

ტატიშვილები

---

ნათია ნოზაძეს, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ლამაზი სურვილების ლამაზად ასრულებას.

ნინო

---

მაიკო ჯაშიაშვილს გილოცავთ დაბადების დღეს. ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ.

სიყვარულით დედიკო, მამიკო, მარიკა

---

ჩვენს საყვარელ გია კიკნაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს.

ძმები, მშობლები, დეიდები და ბებია

**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

შემსწავლელთა განკარგულებაშია IBM- ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.

თქვენ შეისწავლით MS Officce პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში.

**კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს**

*მისამართი: იჭავჭავაძის I ხიხ, №37 (კომპლექს „მზიურის" ტერიტორიაზე). 29-48-61; 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61*

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41

## ● რა, როდის და რომელ არხზე

### შაბათი 15 მარტი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე". 12.00 „მოამბე". 12.15 XXI-ე. 12.35 მხატვრული ფილმი. 15.00 რუსთავის სახ.დრამატული თეატრის სპექტაკლი. 17.25 შეხვედრა კომპოზიტორთან. 18.00 „მოამბე". 18.10 საქართველო და გარე სამყარო.

**2** 19.00 „თბილისი და თბილისელები". 19.30 საქართველოს კონსტიტუცია. 20.00 „მოამბე"; 20.35 რეკლამა.20.40 აუდიენცია; 20.50 „ბასტი-ბუბუს" მულტი-პულტი". 21.05 ლატარია „მეათე". 21.10 სტუდია „მაესტრო". 22.30 „ილუზიონი". მხატვრული ფილმი. 00.00 „ქვიშის საათი". 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო". სპორტული გადაცემა. „5X5", „ეკონომიქსი", „ოლიმპო", „პერსონა X". 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30 მხატვრული ფილმი „გაქცევა ციხე „ალკატრასიდან". პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**ОРТ** 10.00 მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული რისკის გარეშე". 11.20 მულტსერიალი. 11.45 საოჯახო ბიბლიოთეკა. 12.00, 17.00, 20.00 ნოვოსტი 12.10 მოძღვრის სიტყვა. 12.30 პირი ნუ დაგილია! 13.00 დილის ფოსტა. 13.35 სმაკი. 13.55 მიწვევა მუსიკასთან. 14.25 მხატვრული ფილმი „ფრანგული ენის გაკვეთილები". 15.40 ოქროს კადრი. 16.55, 23.50, 3.30 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტფილმები. 18.05 ამერიკა ტარატუტას თვალით. 18.35 ცხოველთა სამყაროში. 19.15 ისტორიის ბორბალი; 20.20 გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. 20.55 ამინდი; 21.20 კინოკომედია „სამს მივუმატოთ ორი". 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.55 მხატვრული ფილმი „სიამაყე და თავდაჯერებულობა".1.05 კალამბური. 1.40 მხატვრული ფილმი „ჩემი საკუთარი შტატი აიდახო".

**РТР** 10.00 მულტფილმები. 10.30 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოება". 11.25 თქვენი პარტნიორი. 13.35 მემორინა. 12.00 კლუბი „ადრენალინი". 12.15 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 13.00 ვესტი თერთმეტზე. 13.30 საპარლამენტო კვირა. 14.15 ჩვენი ბაღი. 14.30 ენზეას საუკეთესო მატჩები. 15.25 ანონიმი თანამოსაუბრენი. 16.00 ცნობები... 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.15 რომანსიადა-97. 17.30 ცხოველთა სამყაროში. 18.00 ტანგო კრემლში 18.25 ევტუშენკოს პროგრამა. 18.50 ბნელი ებისტრიცკაიასთვის; 19.10 უსასრულო მოგზაურობა. 19.40 რუსეთის ტელევიზიის შაბათის საღამო. 19.50 რამდენი ლამაზმანია... 20.40 სტუმრად ტელემაყურებლებთან. 20.55 შაბათის საღამო ვალერი ლეონტიევთან. 22.00 ვესტი. 22.35 მწვანე თემა. 22.50 მხატვრული ფილმი „სატურნი 3". 00.30 ხვალის ამინდი. 00.35 ერთი ყველას წინააღმდეგ; 00.50 ძველი ბინა.; 2.05 პოდიუმ დ, არტ. 2.50 რეპორტიორი. 3.05 სახელგანთქმული დეტექტივების კლუბი. 3.35 პროგრამა „ფ".

### კვირა 16 მარტი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე". 12.00 „მოამბე"; 12.15 „სპა". 12.45 „რეიტინგი". 13.00 მხატვრული ფილმი „უცხოები-11". 15.00 საბავშვო სტუდია გთავაზობთ... 17.30 ინტერმეცო. 18.00 „მოამბე"; 18.10 მოზაიკა. 18.50 აფხაზეთის ტელევიზია. 19.30 „საგანძური". 18.35 ინტელექტუალური კლუბი. 20.30 „ენერგია". 20.45 „როდის"; 21.00 „მსგეფსი". 21.45 რეკლამა. 21.50 აუდიენცია. 22.00 სპორტლოტო. 22.10 სატელევიზიო კინოდარბაზი. 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ტაიმ-აუტი". 19.30 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვამცნობენ". 21.55 „ტაიმ-აუტი". 22.15 რეკლამა. 22.30 მხატვრული ფილმი „კლდე". პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**ОРТ** 10.00 კინოკომედია „ფრთხილად, ბებია!" 11.30 მულტფილმები. 12.00, 17.00, 2.15 ნოვოსტი. 12.15 უგზოუკვლო ჩანაწერები. 12.30 სანამ ყველა შინაა. 13.10 დილის ვარსკვლავი. 14.00 ვემსახურები რუსეთს! 14.30 დაუკარ, გარმონო! 15.00 რუსული სამყარო. 15.30 „კუსტოს გუნდის წყალქვეშა ოდისეა". 16.20 სმეხოპანორამა. 16.55, 23,35, 3.55 გადაცემათა პროგრამა. 17.15 ტრეტიაკოვკა. 17.40 სიმფონიური საიდუმლოებანი. 18.10 მოგზაურთა კლუბი. 18.55 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. „დინამო". (მოსკოვი) - „ცსკა" - (მოსკოვი). 20.50 მხატვრული ფილმი „რომაული არდადეგები". 23.00 ვრემია. 23.40 მხატვრული ფილმი „სიამაყე და თავდაჯერებულობა", II სერია. 00.45 ლარისა დოლინას საიუბილეო კონცერტი. 1.45 საფეხბურთო მიმოხილვა. 2.25 მხატვრული ფილმი „ცხოვრებისეული წვრილმანები".

**РТР** 10.00 მულტფილმები. 11.00 ტელესერიალი „უსიერი ჯუნგლების საიდუმლოებანი". 11.50 ლატარიის სიახლენი. 12.00 დილა მშვიდობისა, ქვეყანავ! 12.45 ფიცი; 13.15 რუსული ლოტო. 13.55 ტომ კლაინი. 14.00 წითელი წიგნი. 14.10 წიგნის ფარდული; 14.35 რუსეთის სიმღერები. 15.30 ადამიანი მიწაზე 16.00 ვესტი. 16.20 ტელესერიალი „დაპირისპირება". 17.10 კულტურის ბაღი. 17.40 ექიმი გამოიძახეთ? 18.15 არაფერი, გარდა... 18.25 დოკუმენტური ფილმი; 19.10 დისნეის ჯადოსნური სამყარო. 20.05 კარაოკე რუსულად. 20.35 საერთაშორისო მიმოხილვა. 21.15 ქალი და მამაკაცი; 22.00 სარკე. 23.00 ხვალის ამინდი. 23.05 რეპორტაჟი არაფერზე. 23.20 მხატვრული ფილმი „საძაგელი ქალი". 00.45 ლ-2 წარმოგიდგენთ 1.40 ყველას პირზე აკერია. 1.55 ქსიუშასთან. 2.25 რექ-თაიმი. 2.40 ვარსკვლავთა კონცერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატარეა ყველასათვის

## 14 მარტს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №719313;
1000 ლარი – №670066;
900 ლარი – №795070;
800 ლარი – №690571;
700 ლარი – №702014;
600 ლარი – №755319;
500 ლარი – №742214;
400 ლარი – №318614;
300 ლარი – №634505;
200 ლარი – №773385;
100 ლარი – №415896;
90 ლარი – *13598;
80 ლარი – *69647;
70 ლარი – *79831;
60 ლარი – *56442;
50 ლარი – *88024;
40 ლარი – *86304;
30 ლარი – *68005;
25 ლარი – *13743;
20 ლარი – *48225;
10 ლარი – ***153;
10 ლარი – ***427;
10 ლარი – ***102;
10 ლარი – ***553;
10 ლარი – ***066.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეათე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის X ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **9759** გათამაშებაზე შეუძლიათ 21 მარტს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **BMW** მოიგო ლატარიის ბილეთმა №**353892**

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## დ

დაბრუდაშვილი – 25 (თელავი – 25);
დადეგაშვილი – 24 (კასპი – 20; თბილისი – 3; რუსთავი – 1);
დადვაძე – 31 (თბილისი – 30; ხონი – 1);
დადივაძე – 46 (თბილისი – 31; სამტრედია – 1; ქუთაისი – 1);
დადუნაძე – 24 (თბილისი – 13; მოსკოვის ლტოლვილი – 2; ზუგდიდი – 1);
დავდგირიძე – 44 (თბილისი – 4; რუსთავი – 4; საგარეჯო – 36);
დავითიაშვილი – 48 (ქუთაისი – 36; თბილისი – 4; გორი – 3);
დავითლიძე – 28 (თბილისი – 26; კასპი –2);
დავითნიძე – 21 (თბილისი – 15; გურჯაანი – 3; თელავი – 2);
დავლაბერიძე – 22 (თბილისი – 4; ახალციხე – 1; ასპინძა – 1);
დავრიშვილი – 21 (თბილისი – 20; თეთრიწყარო – 1);
დათუნიკაშვილი – 23 (ქარელი – 15; გორი – 6; თბილისი – 1);
დანაპრელაშვილი – 38 (ახმეტა – 20; თელავი – 10; რუსთავი – 4);
დანგიაშვილი – 35 (თბილისი – 35);
დანდლიშვილი – 28 (თბილისი – 24; გორი – 1; რუსთავი – 1);
დანელაშვილი – 23 (ახმეტა – 15; თბილისი – 2; თელავი – 6);
დანელიძე – 28 (თბილისი – 15; გარდაბანი – 12; ქუთაისი – 1);
დანიელიძე – 22 (გარდაბანი – 7; თბილისი – 5; მცხეთა – 10);
დარეჯანაშვილი – 38 (თბილისი – 14; ლაგოდეხი – 9; თელავი – 6);
დარიაშვილი – 23 (თბილისი – 7; რუსთავი – 1; ყვარელი – 15);
დარქიზანიძე – 25 (ახმეტა – 15; თელავი – 10);
დარძულიძე – 39 (დუშეთი – 18; დედოფლისწყარო – 6; თბილისი – 6);
დაუდაშვილი – 42 (თელავი – 10; ლაგოდეხი – 9; გორი – 1);
დაუქოშვილი – 37 (გორი – 21; თბილისი – 16);
დაქიურიძე – 29 (ახმეტა – 21; ყვარელი – 8);
დაქუზაშვილი – 24 (დედოფლისწყარო – 9; დუშეთი – 7; თბილისი – 4);
დახუნდარაძე – 26 (ქობულეთი – 26);
დგვეფაძე – 43 (ბათუმი – 12; თბილისი – 12; სამტრედია, – 9);
დეგეტაშვილი – 31 (თბილისი – 2; რუსთავი – 2; ყვარელი – 27);
დედალამაზიშვილი – 49 (თბილისი – 34; გარდაბანი – 11; რუსთავი – 4);
დედანიშვილი – 20 (თბილისი – 18; ლანჩხუთი – 2);
დევდახაშვილი – 27 (თეთრიწყარო – 27);
დევლარაშვილი – 23 (რუსთავი – 4; ყვარელი – 19);
დევლარიშვილი – 46 (რუსთავი – 7; საგარეჯო – 5; თელავი – 2);
დევრიშიძე – 40 (ბათუმი – 5; ქობულეთი – 35);
დეკანიძე – 24 (ვანი – 10; ბაღდათი – 5; ახალქალაქი – 3);
დელიქიშვილი – 26 (თბილისი – 4; რუსთავი – 2; სიღნაღი – 1);
დემეშვილი – 20 (გორი – 17; თბილისი – 3);
დიანოსაშვილი – 28 (ბაღდათი – 19; ადიგენი – 5; თბილისი – 2);
დიდმარხვაშვილი – 30 (რუსთავი – 10; თბილისი – 6; გურჯაანი – 4);
დიერაშვილი – 25 (თბილისი – 10; სიღნაღი – 15);
დიმიტრიშვილი – 27 (რუსთავი – 9; თბილისი – 8; გარდაბანი – 4);
დინოშვილი – 33 (გურჯაანი – 17; რუსთავი – 1; საგარეჯო – 15);
დიხამიძე – 45 (თბილისი – 16; ვანი – 13; ქუთაისი – 12);
დოდიაშვილი – 43 (თბილისი – 28; გორი – 7; გარდაბანი – 6);
დოინჯიშვილი – 23 (თბილისი – 13; გორი – 5; ახმეტა – 4);
დოლაძე – 21 (თბილისი – 9; საგარეჯო – 6; ლანჩხუთი – 1);
დომელაშვილი – 33 (გორი – 16; თბილისი – 13; მცხეთა – 2);
დოროყაშვილი – 38 (თბილისი – 19; ლაგოდეხი – 1; რუსთავი – 1);
დოქიძე – 21 (თბილისი – 21);
დოლუზაშვილი – 23 (გორი – 10; თბილისი – 8; რუსთავი – 2);
დოჯურიშვილი – 43 (თიანეთი – 18; დედოფლისწყარო – 14; თბილისი – 10);
დრეიძე – 32 (თბილისი – 18; საგარეჯო – 14);
დუკაშვილი – 31 (თბილისი – 11; რუსთავი – 6; ლაგოდეხი – 2);
დურდიაძე – 34 (თბილისი – 28; ახმეტა – 8; სიღნაღი – 7);
დურიშვილი – 35 (საგარეჯო – 14; თბილისი – 8; სიღნაღი – 7);
დურმიშიძე – 49 (თბილისი – 22; საჩხერე – 10; რუსთავი – 6);
დუშაშვილი – 38 (კასპი – 23; თბილისი – 9; გორი – 2);
დუშმანაშვილი – 35 (თბილისი – 9; თელავი – 1; ყვარელი – 25).

# კაიფვორდი



**თარაზულად:** 1. ყველაზე „გემრიელი“ თითი; 4. პირუტყვი, რომლის ბედსაც შენატრის ი.ჭავჭავაძე. 7. მოჩხუბართა გასაშველებელი ქსოვილი; 12. კომბინირებული „ბიზონი“; 13. „დალაქავებული მლიქვნელი“; 14. 80–იანი წლების მოდური ფეხსაცმელი, უშიშროების „სპეცნაზის“ სეხნია; 15. „პარში გამოყვანილი“ ქალაქი; 18. „გამოფაშული“ თურქი მმართველი; 20. სასუქი, რომელიც „ნაკიან წელიწადს ელის“; 24. წყლის „ტროლეიბუსი“; 26. „ჭურჭელი, რომელშიც ტარიელის დაქალი ცხოვრობდა“; 27. ქალი, რომელიც „ირას ემხრობა“ (რუს.კავშ.); 28. რომაელების და ვან-დამის რისხვა; 30. „კასტრირებული“ ფენა ინდოეთში; 32. მუსიკალური „კორდი“; 35. „ცხერის ჯოგი“, რომელიც ზურიკელას სჭირდებოდა ქალაქში წასასვლელად (წიგნ.კავშ.); 36. მასრა, რომელიც გვეუბნება, რომ „პილი თანახმაა“ (რუს.კავშ.); 37. „სონის ფირმის“ უღელტეხილი საქართველოში; 43. „გარეული“ საერთაშორისო ორგანიზაცია; 44. ბუდისტების „დალალებიანი“ წინამძღოლი; 46. „ტელეფონზე შეყვარებული“ მცენარე; 47. ფიდელ კასტროს საბჭოური „კლიჩკა“; 49. ფილმი, რომელსაც ელოდნენ „ტელესერიალის მანიაკები“; 51. განათლების მინისტრის „ჯავახიშვილისეული წინაპარი“; 52. აზელილი და გამოუწვავი „ლიზი“; 54. „პიდრომეტცენტრის“ ზღაპრული ურჩხული; 55. გრაფ მონტე-კრისტოს შეყვარებული, რომელზეც ეხლაც არავინ ამბობს უარს; 56. ძუნწი, რომელიც „ქვასაც კი იწვავს“; 57. დიპლომატი, რომელსაც „ტაშს“ უკრავენ; 58. „მეტრიანი“ რკინიგზა; 59. „გადახურული სანადირო ექსპედიცია“.

**შვეულად:** 2. ნათურის „ზამენიტელი“; 3. ცხოველი, რომელიც გვარზე ხტის; 5. „აალებული“ პოლიტ–კავშირი; 6. „ფაშების აზარტული“ სასმისი; 8. ახლახან „გარდაცვლილი“ ზღვა; 9. „ლალის“ კულულა თმები; 10. ავეჯის „დასალაქავებელი“ სითხე; 11. „სტომატოლოგობისაკენ მიდრეკილი“ ქართული ზღაპრის გმირი; 16. იტალიის „დასპორტული“ ქალაქი; 17. „ზონრით შემოკავებული“ ადგილი ქურდებისთვის; 19. „რაფში“ გამართული დრეობა; 21. აქლემის ნაშიერი, რომელიც „მაფიას მხარს უჭერს“; 22. არაბების „ხალიანი“ ხელმწიფე; 23. „სირენებიანი“ ბერძერაკი; 25. კაცის „გამახარებელი“ სახელი; 28. იგავის „ძმაკაცი“; 29. ის, რაც ჭამაში მოდის; 31. „სერზე გამართული“ სანახაობა; 33. „ბილიარდის შარების ჩამყრელი თანხმობა“; 34. „ორი კოცნა“; 35. „რალში“ გამოსული ყაჩაღი; 36. ქალღმერთი, რომელიც ზევს ცოლობასაც უწევდა და დობასაც; 38. ქალაქი „მარსიდან“; 39. მღვდლის „ლარიანი“ ატრიბუტი; 40. ტყის ხილი, რომელიც რამდენიც არ უნდა კენკო, ვერ გაიგებ რაა; 41. „დარდიანი და ნელი“ სრუტე; 42. ამერიკელების „კოვბოი“ პრეზიდენტის სახელი; 45. წამალი, რომელსაც „ასი პირი“ ყლაპავს; 48. „რეტის მომგვრელი“ სასმელი; 50. „აზას“ კარტით გატაცება; 51. პიროვნების „შესაკრები“ მრწამსი; 52. „ჩვენი“ ნარკოტიკი (რუს.კავშ.).

აკაკი ცოტაძე

### წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

**მწოლიარედ:** 1. ნიორი. 2. უნაგირი; 4. დროშა; 9. ლუიზა; 10. ბოლოკი; 11. დარდიმანდი; 13. მეტრიკა; 16. ევა; 17. ალაზანი; 20. კაკო; 21. ნანა; 22. სიო; 23. დოცენტი; 25. ვულკანი; 27. ნამცხვარი; 29. სკოლა; 30. ზღმარტლი; 31. დოლარი.

**მდგომიარედ:** 1. ნუკრიანი; 3. რძალი; 5. შრომა; 6. ლუდი; 7. თითა; 8. სამიკიტნო; 12. და; 14. ტრიო; 15. კი; 18. ბონი; 19. მარშალი; 21. ნალი; 23. დანია; 24. ტივი; 26. კია.

# იუმორისტული სიუჟეტებიდან

### ფიზიკოსები თავით ურტყამენ...

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ძველი მუშაკები ჰყვებიან: აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს მოახსენეს, რომ ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები წაიჩხუბნენ, ერთმანეთს ხელით შეეხნენ, იმან კიდევ იმას თავი გაარტყაო.

– სლავა ბოგუ, ნაკანეცტო ვ ინსტიტუტე ფიზიკი გალავოი ნაჩალი რაბოტაც! – ჩაულაპარაკია ბატონ ნიკოს.

### აი, კურიოზი

ცნობილ ირანისტსა და რუსთველოლოგს პროფესორ იუსტინე აბულაძეს, სანამ ძალა შესწევდა, უნივერსიტეტში სიარულისათვის პენსიაზე გასვლის შემდეგაც თავი არ დაუნებებია. დრო ბევრი ჰქონდა და წესად ექცა, შინ, ავლაბარში, ფეხით მიდიოდა, გზად მაღაზიებში შეივლიდა და გასაყიდად გამოფენილ საქონელს ათვალიერებდა. ერთ დღეს, შინ რომ დაბრუნდა, ნახა, ხელთ ქოლგა არა აქვს, სადღაც დარჩენია თუ დაუკარგავს. უმალვე მობრუნდა, ბოლოდან მიჰყვა და, რომელ მაღაზიაშიაც ნამყოფი იყო, შედის და კითხულობს, აქ ქოლგა ხომ არ დამრჩენიაო. რამდენიმე მაღაზია რომ გაიარა, ერთგან ქოლგა მიართვეს: აქ დაგრჩათ და ინებეთო.

– უჰ, რა პატიოსანი ხალხი ყოფილხართ, სადაც კი ვიკითხე, ყველგან უარი მითხრეს! – ალტაცებით მადლობას იხდის სიხარულით დაბნეული პროფესორი.

ბორის დარჩია

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444